20/73

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 20 კაპ.

სალიტერატურო გაზეთი

1932
30 მაისი

საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ათდღიური გაზეთი

№ 13

ყრილობისათვის

საქართველოს საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობის ჩასატარებლად, რომელიც ათი ივნისს შესდგება, წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაიწყო. იგი უნდა გაიშალოს ადგილებზედაც — რაიონებში. მთელი მუშაობა ყრილობისათვის უნდა წარიმართოს საბჭოთა ლიტერატურის ყველა სასიცოცხლო ძალების კონსოლიდაციის ნიშნის ქვეშ ცეკას დადგენილების საფუძველზე. საორგანიზაციო კომიტეტის წინაშე, რომელიც გამოყოფილია მწერალთა ორგანიზაციების მიერ, სდგას ამოცანა — შექმნას მწერლობისათვის ნორმალური შემოქმედებითი მუშაობის ატმოსფერო, ბოლო მოუღოს ჯგუფური კარჩაკეტილობისა და ადმინისტრატიულობის ყოველგვარ გამოვლენას; ახალ პირობებთან დაკავშირებით უნდა გამომუშავდეს უფრო სრულყოფილი მეთოდები ახალ მწერალთა დაწინაურებისა და აღზრდისათვის (პირველ რიგში ფაბრიკა-ქარხნებიდან და კოლმეურნეობებიდან). საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობა ნაყოფიერი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ უზრუნველყოფთ საბჭოთა მწერლების აქტიურ მონაწილეობას სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის საქმეში.

როგორც უკვე აღნიშნული იყო ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, ცეკას დადგენილება ახალ საფეხურს წარმოადგენს მთელი ჩვენი ლიტერატურის განვითარებაში. ეს დადგენილება უშუალოდ მე-17 პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს და დაკავშირებულია გაშლილი სოციალისტური მშენებლობის ახალ პერიოდთან. „[illegible]ლი ამოცანების სიმაღლეზე“ — [illegible] სიტყვებით განსაზღვრავს [illegible]და“ ცეკას დადგენილების [illegible]ნელობას. მაშინ, როდესაც, [illegible] სოციალისტური მშენებლობის ყოველი ხაზით [illegible]არეობს, ლიტერატურის [illegible] განაგრძობდა ჩამორჩენას, [illegible] არა ერთხელ მიუთითა [illegible] ლიტერატურულ ორგანიზაციებს ამ ჩამორჩენის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის აუცილებლობის შესახებ. ძველი გზით სვლა შეუძლებელი იყო. მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობას თვით ცხოვრება აყენებდა. საკმარისია მოვიგონოთ პროლეტმწერალთა ასოციაციის ზოგიერთ ხელმძღვანელთა ყოვლად დაუშვებელი დამოკიდებულება ჩვენი პარტიულ-კომკავშირული პრესის კრიტიკისადმი, დისკუსია კომკავშირთან და ცხადი გახდება, თუ რამდენად მათ თავის დროზე ვერ გაიგეს ის ღრმა პროცესები, რომელსაც ადგილი ჰქონდათ ინტელიგენციის რიგებში სოციალისტური მშენებლობის წარმატებებთან დაკავშირებით. რამდენად მათ ვერ გააკეთეს ყველა აუცილებელი დასკვნები ამხ. სტალინის ექვს ისტორიული მითითებებიდან. სალიტერატურო ორგანიზაციებში არ იყო სათანადოთ გაშლილი ბოლშევიკური თვითკრიტიკა. კიდევ მეტი. ადგილი ჰქონდა ნაწილობრივ თვითკრიტიკის ჩახშობას, უხეში შეცდომების ხელის დაფარებას, მიჩქმალვას. მხოლოდ ჩვენი პარტიული პრესის აქტიური ბრძოლის შედეგად მხილებული იქნა ფედერალიზმის რეციდივების კონკრეტული მატარებლები საქართველოში (ამხ. ამხ. ს. ხუნდაძე, ბ. ბუაჩიძე, გ. თავზარაშვილი და სხვ.). ეს ფედერალისტური რეციდივები კი წლობით იჩქმალებოდა. თვით ასოციაციის ხელმძღვანელობაში, როგორც ეს მრავალჯერ იყო აღნიშნული, ფართო გასაქანი ჰქონდა ჯგუფობრიობისა და ადმინისტრატიულობის პრაქტიკას.

საქ. პროლეტმწერალთა უკანასკნელმა პლენუმმა საკმაო სისრულით შეაფასა ასოციაციაში შექმნილი მდგომარეობა და კატეგორიულად მოითხოვა მუშაობის გარდაქმნა, ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლა, ბრძოლის გაძლიერება ლენინური ეტაპისათვის, პარტიის ლიტერატურულ-პოლიტიკური ხაზის ყოველგვარი დამახინჯებათა წინააღმდეგ. მაგრამ იმის მაგიერ, რომ მუშაობის სიმძიმის ცენტრი შემოქმედებითი საკითხებზე ყოფილიყო გადატანილი, ჯგუფობრივი ბრძოლა აშკარა თუ მალულ ფორმებში კვლავ გრძელდებოდა. ცხადია, არა ასეთი მასშტაბით, როგორც ეს წინად სწარმოებდა.

განსაკუთრებით უხეში პოლიტიკური შეცდომები იყო დაშვებული თანამგზავრთა მიმართ. ამ გარემოებას ჩვენ განსაკუთრებით გვინდა ხაზი გაუსვათ. მით უმეტეს, რომ პრესის უკანასკნელმა საწარმოო თათბირმა სავსებით ცხადჰყო, რომ „მემარცხენე“ განწყობილებებს თანამგზავრობის საკითხში საკმაო მტკიცედ აქვს ფეხი გადგმული, რომ ერთი ხელის მოსმით თანამგზავრთა მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადასროლის ცდებს ჯერ კიდევ ბოლო არ მოეღო. ზოგი ცდილობდა თანამგზავრობის პრობლემა უხეში ადმინისტრატიულობის მეთოდებით გადაეჭრა. ისინი ფიქრობდნენ, რომ თანამგზავრთა გარდაქმნის, აღზრდის საკითხი უკვე მოხსნილია დღის წესრიგიდან. „მოკავშირე ან მტერი“ აი ის პოლიტიკურად შეცდარი ლოზუნგი, რომლის მიხედვითაც ჩვენშიაც მოქმედებდნენ. საკითხის ამგვარი დაყენება არსებითად ეწინააღმდეგება პარტიის ხაზს. ცეკას უკანასკნელი დადგენილება სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ, მთელი თავისი მახვილით მიმართულია „მემარცხენე“ ვულგარიზატორობის წინააღმდეგ. ცეკას დადგენილების ეს მითითება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შესრულებული და ძირშივე აღიკვეთოს ყოველგვარი ცდა „მემარცხენე“ ვულგარიზატორობის განმეორებისა თანამგზავრობის საკითხში.

უაღრესად თანადროულია ცეკას დადგენილება პროლეტარულ მწერალთა განსაკუთრებული ორგანიზაციების ლიკვიდაციის შესახებ. მწერლები, რომლებიც თანაუგრძნობენ სოციალისტურ მშენებლობას, პროლეტარულ მწერლებთან ერთად შევლენ საბჭოთა მწერლების მთლიან კავშირში, სადაც ჩამოყალიბდება კომუნისტური ფრაქცია. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით რთული და საპასუხისმგებლო ამოცანები იჭრება კომუნისტური ფრაქციის წინაშე. კომუნისტურმა ფრაქციამ ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მხატვრული ლიტერატურის გადაყვანას უფრო მაღალ საფეხურზე, უნდა გაშალოს ნამდვილი პრინციპიალური ბრძოლა ანტიპროლეტარულ, ოპორტუნისტულ ტენდენციებისა და მიმდინარეობათა წინააღმდეგ მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

ჩვენ სასტიკად უნდა შევებრძოლოთ ყველა იმათ, ვინც შეეცდება დარჩეს ძველ ჯგუფურ პოზიციებზე და შეაფერხებს ცეკას დადგენილების რეალიზაციას.

სასტიკად უნდა შევებრძოლოთ იმათაც, ვინც ცეკას დადგენილებას გაიგებს, როგორც მარტო ორგანიზაციულ „რეფორმას“.

მუშაობის გარდაქმნა, რომელსაც ცეკას დადგენილება გულისხმობს, არის არა მარტო გარდაქმნა ორგანიზაციული ფორმების, არამედ სალიტერატურო ორგანიზაციების შინაარსის გარდაქმნაც.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი კრიტიკის ჩამორჩენილობა. იგი ხასიათდება უაღრესად დაბალი თეორიული დონით. უპასუხისმგებლობას ჩვენი მუშაობის ამ უაღრესად მნიშვნელოვან დარგში ჯერ კიდევ აქვს ადგილი. მთავარი რასაც გვინდა ხაზი გაუსვათ ეს ის, რომ კრიტიკა ხშირად არ არის ობიექტიური. ხშირად იგი პრინციპიალურ სიმაღლეზე არ სდგას. ჯგუფობრიობის ტენდენციებს, პირადულ მომენტებს, ერთმანეთისადმი ანგარიშების გასწორებას საკმაოდ დიდი გასავალი აქვს. ასეთ კრიტიკულ „ვარჯიშობას“ არავითარი საერთო პრინციპიალურ მარქსისტულ კრიტიკასთან არა აქვს. ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა დიდი ზიანი მოაქვს მას ჩვენი ლიტერატურის განვითარებისათვის. მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დაისვას თეორიული [illegible] საკითხი. კრიტიკოსთა კადრების თეორიული დონის ამაღლება უშუალოდ დაკავშირებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად შესწავლასთან, იმ ამოცანების შეთვისებასთან, რომელთაც თანამედროვე ჩვენი ეპოქა აყენებს. ლიტერატურის მცოდნეობაში ლენინური ეტაპის, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის, ხელოვნების სპეციფიკის პრობლემათა დამუშავება—აი ის ამოცანები, რომლებიც სდგანან კრიტიკის წინაშე.

ფართო გზა უნდა გაუხსნათ კონკრეტულ კრიტიკას, რომლებიც დაეხმარება საბჭოთა მწერალს გამოასწოროს დაშვებული შეცდომები, გაუადვილოს მისი განვითარების შემოქმედებითი გზები, ამავე დროს კი მთელი სისასტიკით შეებრძოლება კლასობრივ მტერს, გამოამჟღავნებს ყოველგვარ მის მანევრს თავისი მტრული იდეოლოგიის გატარებისათვის.

ჩვენ ზოგადად შევეხეთ მთელ რიგ დეფექტებს, რომელთაც ადგილი აქვთ ლიტერატურულ ორგანიზაციათა მუშაობაში. ეს რა თქმა უნდა იმას არ ნიშნავს, რომ ლიტერატურის დარგში ჩვენ არ გვაქვს მიღწევები. ცეკას დადგენილება ხაზგასმით აღნიშნავს პროლეტარული ლიტერატურის კადრების და საერთოდ მთელი ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ზრდას, მშრომელი მასების შემოქმედებით ძალების უდიდეს აღორძინებას. მაგრამ არსებული სალიტერატურო ორგანიზაციები აფერხებდნენ მხატვრული შემოქმედების გაშლას. აქედან მათი გაუქმების აუცილებლობა. თვით ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობამ ვერ შესძლო ხელმძღვანელობა გაეწია მუშაობის გარდაქმნისათვის, თავის დროზე გაეგო თანამედროვე ეტაპის ახალი ამოცანები.

ყრილობა ჯამს გაუკეთებს ჩატარებულ მუშაობას და ცეკას დადგენილების საფუძველზე დასახავს ღონისძიებათ, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სოციალიზმის მშენებელ ქვეყნის დიადი ლიტერატურის შექმნას. საბჭოთა მწერლების კავშირისა და მისი კომუნისტური ფრაქციის წინაშე სდგას ამოცანა შექმნას მაღალ ხარისხოვანი, თავისი შინაარსით სოციალისტური ლიტერატურა, რომელიც ღირსი იქნება ახალი, უკლასო საზოგადოების მშენებელი კლასის.

ბრძოლა სოციალისტური ლიტერატურისათვის, მაგნიტოსტროებისათვის ლიტერატურაში, აი ის ლოზუნგები, რომელთა ნიშნის ქვეშ უნდა წარიმართოს ყრილობისა და ახლად ჩამოყალიბებული კავშირის მუშაობა.

საბჭოთა მწერლებმა უნდა გვიჩვენონ ის ბრძოლა, რომელსაც მუშათა კლასი კომპარტიის ხელმძღვანელობით აწარმოებს კლასების მოსპობისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის. ნაწარმოების სიძლიერე დამოკიდებული იქნება იმისაგან, თუ რამდენად სწორად, ღრმად, დამაჯერებლად იქნება ეს პროცესები გადმოცემული. ამის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მწერლის მსოფლმხედველობის დონის ამაღლება, დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდის დაუფლება, აქტიური მონაწილეობის მიღება სოციალისტურ მშენებლობაში. მწერლობამ უნდა გვიჩვენოს ცხოვრების, ბრძოლის, მშენებლობის დიალექტიკა, სიძნელენი სოციალიზმის დიადი მშენებლობის გზაზე და ამ სიძნელეთა გმირული გადალახვა, დაძლევა.

მხატვრულ შემოქმედებაში ასახული უნდა იქნას ის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა, რომელიც სწარმოებს სოციალიზმის მშენებლობის ყოველ დარგში. კომუნისტური პარტიის როლი სოციალისტურ მშენებლობაში, ამ მშენებლობის ენტუზიასტები—დამკვრელები, აი ის ძირითადი თემის დაუფლება, აქტიური მო[illegible] გამოხატულება მხატვრულ შემოქმედებაში.

კავშირის წინაშე სდგას ამოცანა სწორი ხაზით წარმართოს მუშაობა თანამგზავრთა მიმართ, დაუნდობელი ბრძოლა აწარმოოს ბურჟუაზიული და წვრილ ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ. ჩვენი ამოცანაა—დაუნდობლად ვამხილოთ და ძირშივე მოვსპოთ ნაციონალისტური განწყობილებანი, რომლებსაც აქვთ ადგილი მწერლობის ზოგიერთ წევრებში.

ცეკას ისტორიული დადგენილების ურყევი გატარებით საქ. საბჭოთა მწერლების კავშირი წავა წინ ახალ გამარჯვებებისაკენ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო
კომიტეტის დადგენილებით

საქ. საბჭოთა მწერლების საგანგებო
ყრილობა

მოწვეულია 10 ივნისისათვის

დღის წესრიგი:

1) საქ. კ. პ (ბ) ც. კომიტეტის 23 აპრილის დადგენილება სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შესახებ და საბჭოთა მწერლების კავშირის ამოცანები.—მომხსენებელი ამხ. კ. გორდელაძე

2) საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობა—მომხ. ამხ. პ. ჩხიკვაძე

3) საორგანიზაციო საკითხები.

ადგილები (სოხუმი, ქუთაისი, ბათუმი და სამხრეთ-ოსეთი) ყრილობაზე აგზავნიან თვითეული 2 დელეგატს.

საქ. საბჭ. მწერლების კავშირის
საორგანიზაციო კომიტეტი

სალიტერატურო ორგანიზაციების დაშლის გამო

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა

26 მაისს, ამხ. კ. გორდელაძის თავმჯდომარეობით შესდგა საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა.

კომიტეტმა განიხილა საბჭოთა მწერლების მოწვევასთან დაკავშირებული საკითხები და გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად.

მწერალთა რეგისტრაცია.

კომიტეტის დადგენილებით მოხდება მწერალთა აღრიცხვა, სპეციალურ ანკეტების საშუალებით. აღრიცხვის მოსახდენად და სათანადო ანკეტის გამოსამუშავებლად გამოყოფილი იქნა ცალკე კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ს. ეული (ხელმძღვანელი), ტიციან ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, რაჟ. გვეტაძე, შ. რადიანი; პ. სამსონიძე და ა. ჭუმბაძე.

საწესდებო კომისია.

საბჭოთა მწერლების კავშირის წესდების პროექტის შესადგენად გამოყოფილი იქნა მეორე კომისია, რომელშიაც შედიან: ამხ. პ. ჩხიკვაძე, (ხელმძღვანელი), ნ. მიწიშვილი, ბ. ჟღენტი, სიმ. ჩიქოვანი და გ. ბუხნიკაშვილი.

ოპერატიული მუშაობის ხელმძღვანელი კომისია

საბჭოთა მწერლების ფედერაციისა და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ლიკვიდაციის გამო ყრილობის მოწვევამდე ოპერატიული მუშაობის საწარმოებლად და ლიტერატურული საქმიანობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად კომიტეტმა თავის შემადგენლობიდან გამოყო მცირე კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. პ. ჩხიკვაძე, რ. გვეტაძე და ბეს. ჟღენტი.

ამავე კომისიას დაევალა მიმდინარე საკითხების გარდა, მოაწესრიგოს ყოფ. ფედერაციის და ასოციაციის ქონებისა და ფინანსების ჩაბარების საქმე უახლოეს ხანში.

ახალი სალიტერატურო ორგანიზაციები.

ავტონომიურ ერთეულებსა და რესპუბლიკის მთავარ ქალაქებში ძველი სალიტერატურო ორგანიზაციების ლიკვიდაციის მოსახდენად და საბჭოთა მწერლობის კავშირის განყოფილებების ჩამოსაყალიბებლად კომიტეტმა დაადგინა ადგილებზე მიავლინოს თავის წევრები.

წევრები იგზავნებიან: **აჭარისტანში**—ამხ. ს. ეული და ლ. ქიაჩელი, **აფხაზეთში**—ტ. ტაბიძე და გ. ბუხნიკაშვილი, ოსეთში—ბეს. ჟღენტი და პ. სამსონიძე, **ქუთაისში**—პ. ჩხიკვაძე და სიმ. ჩიქოვანი.

ჟურ. „პროლეტარულ მწერლობა“-ს გადახალისება და გამოცემა შეჩერებულია ყრილობის დამთავრებამდე.

ორგ. კომიტეტის მდივნად არჩეული იქნა ბ. ჟღენტი.

სრ. საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის
საბჭოს დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერ. ფედერაციის საბჭო დაშლილად აცხადებს საბჭოთა მწერლების ფედერაციას და მასში შემავალ მწერალთა ორგანიზაციებს.

საბჭოს დადგენილებით ფედერაციის და მასში შემავალი ორგანიზაციების ფინანსები და მთელი ქონება, აგრეთვე გამომცემლობა „ფედერაცია“, ჟურნ. „მნათობი“ და „სალიტ. გაზეთი“ გადაეცემა საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო ბიუროს, ლიტერატურული წრეები განაგრძობენ მუშაობას.

სრულიად საქართველოს საბჭ. მწერ. ფედერაციის სამდივნო:

პ. ჩხიკვაძე, ალ. მაშაშვილი, ტ. ტაბიძე, სიმ. ჩიქოვანი, არ. ჭუმბაძე.

დადგენილებას ხელს აწერენ:

საბჭ. მწერ. ფედერაციის დავალებით. **რ. გვეტაძე, ლ. ქიაჩელი, გ. ტაბიძე, ნ მიწიშვილი, ალ. ქუთათელი, ალ. არსენიშვილი, ილო მოსაშვილი, ბ. ჟღენტი, ს. კლდიაშვილი, ს. თალაკვაძე.**

დადგენილებას ხელს აწერენ საქ. პრ. მწერ. ასოციაციის მინდობილობით:

რადიანი, ჩხიკვაძე, ეული, ზომლეთელი, მაშაშვილი, ბუხნიკაშვილი, ლორთქიფანიძე, კალაძე.

„ლოკაფის“ მინდობილობით: **ფრ. ნაროუშვილი, ჭანტურიშვილი; ჩიქოვანი.**

პრ. საკოლმეურნეო მწერალთა გაერთიანების მინდობილობით: **ნ. ზომლეთელი, ს. აბულაძე, ბეს. ჟღენტი.**

საქ. პრ. მწერ. ასოციაციის დადგენილება

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობა გაუქმებულად აცხადებს ასოციაციას და ადგენს: გადასცეს ორგანიზაციულ კომიტეტს თავისი ჟურნალი, ფინანსები და ქონება, ლიტერატურულმა წრეებმა წარმოებებში უნდა განაგრძონ მუშაობა.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამდივნო:

შ. რადიანი, პ. ჩხიკვაძე, ს. ეული.

23 აპრილის დადგენილების საფუძველზე

25 მაისს, ამხ. პ. ჩხიკვაძის თავმჯდომარეობით შესდგა საწესდებო კომისიის სხდომა. სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შესახებ საკ. კ.პ. (ბ) ცენ. კომიტეტის 23 აპრილის დადგენილების საფუძველზე, კომისიამ შეიმუშავა საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის წესდების პროექტი.

პროექტს განიხილავს ორგბიურო, ხოლო მას საბოლოოდ მიიღებს და დაამტკიცებს საბჭოთა მწერლების სრ. საქართველოს ყრილობა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილება

1 ივნისიდან 7 ივნისამდე იწარმოებს

საბჭოთა მწერლების აღრიცხვა

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში წევრებად მიიღებიან ის მწერლები, განურჩევლად ლიტერატურული მიმართულებისა, რომელნიც სდგანან საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე და თავიანთი შემოქმედებით და საზოგადოებრივი საქმიანობით ისწრაფვიან მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში.

მწერალთა აღრიცხვას აწარმოებს სარეგისტრაციო კომისია სპეციალური ანკეტების საშუალებით.

ანკეტას ვათავსებთ ამავე გაზეთის მე-4 გვერდზე. მსურველმა ეს ანკეტა უნდა ამოჭრას და შევსებული პირადათ გადასცეს, ან ფოსტით გადმოაგზავნოს შემდეგი მისამართით:

თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, საბჭოთა მწერლების სასახლე, მწერალთა სარეგისტრაციო კომისიას.

რევ. მწერალთა საერთაშორისო მოძრაობა იზრდება

იაპონია

პროლეტარული კულტურის ძალთა კონსოლიდაცია

რევოლუციონურ ძალთა შემდგომი კონსოლიდაციის მიზნით, იაპონიის პროლეტარული ხელოვნების კავშირების ფედერაცია გარდაიქმნა პროლ. კულტ. ფედერაციად. ამ ახალ გაერთიანებაში შევიდნენ ძველი ფედერაციის ყველა შემადგენელი ნაწილები—მწერალთა, მხატვართა, მუსიკოსთა, თეატრის და კინოს მუშაკთა და პროლეტარულ ფოტოგრაფთა კავშირები, აგრეთვე მთელი რიგი სხვა რევოლუციონური ორგანიზაციები: პროლეტარული ესპერანტისტების საზოგადოება, ანტირელიგიური ლიგა, პოლიტიკური უფლებების დამცველთა საზოგადოება, იაპონია-საბჭოთა საზოგადოება და საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოება. ფედერაციის საბჭო უშვებს ჟურნალ „პროლეტარულ კულტურას“. გარდა ამისა, გაერთიანებაში შემავალ თვითეულ კავშირს აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანო.

ახალი ფედერაციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა საბჭოთა კავშირის დაცვა და საბჭოთა სოციალისტური კულტურის მიღწევათა გაცნობა იაპონიის მშრომელი მასებისათვის.

პროლეტარულ მწერალთა კავშირი დიდ მუშაობას აწარმოებს ფართო მასებთან დაახლოვების მიზნით. იგი შეუდგა მასიური ტიპ-ის ჟურნალების გამოცემას, რათა მიიმხროს პროლეტარული მკითხველები და ჩამოაშოროს ისინი გავრცელებულ ქუჩურ გამოცემებს, აგრეთვე ქალთა ბურჟუაზიულ ჟურნალებს, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ არა მარტო წვრილი ბურჟუაზიის წრეში (განსაკუთრებით ქალთა შორის), არამედ ნაწილობრივ მუშათა წრეშიც.

წინანდებურად თვეში ორჯერ გამოდის პროლეტარულ მწერალთა კავშირის მასიური ორგანო „სალიტერატურო გაზეთი“ (ერთად ერთი სოციალისტური გაზეთი იაპონიაში). ეს ორგანო ფართოდ აზამს ლიტერატურაში მუშებს და გლეხებს, რისთვისაც საწარმოებში და სოფლად აწყობს ლიტერატურულ წრეებს. ამ წრეებში მონაწილეობენ არა მარტო დამწყები მწერლები, არამედ პროლეტარული მკითხველებიც ლიტერატურულ ნაწარმოებთა კოლექტიურად კითხვის და გარჩევის მიზნით „სალიტერატურო გაზეთში“ არის სპეციალური განყოფილება, რომელშიც თავსდება ხსენებული წრეების კორესპონდენციები, ლიტერატურული კონსულტაცია და სხ.

იაპონიის პროლეტარულ მწერალთა კავშირი მთელი წლების განმავლობაში ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს სოციალფაშისტურ ლიტერატურულ აგენტურასთან „ლიტერატურული ფრონტი“-ს ჯგუფთან. ამ ბრძოლის შედეგად სავსებით გამოაშკარავდა [illegible]ზიულ-გამცემლური ხასიათი პროლეტარულ მკითხველთა ფართო მასებში. იგი გახდგურებულ იქნა. საუკეთესო ელემენტებმა ზურგი შეაქციეს სოციალ-ფაშისტურ სალიტერატურო ორგანიზაციას და ისინი პროლეტარულ მწერალთა კავშირს მიემხრნენ.

პროლეტარული კულტურის ფედერაციის თეატრალური სექცია უშვებს თავის „სალიტერატურო გაზეთს“, ხოლო საბჭოთა კავშირის იაპონელ მეგობართა საზოგადოება—ყოველთვიურ ჟურნალს—„საბჭოთა კავშირის მეგობარს“.

მანჯურიის ამბებთან და ომის საწინააღმდეგო პროპაგანდასთან დაკავშირებით, რომელსაც პროლეტარულ მწერალთა კავშირი ატარებს, კავშირის ბევრი წევრი დაპატიმრებულია. მაგრამ რეპრესიებით შეუძლებელი ხდება პროლეტ. კულტურის ძალთა რევოლუციური მუშაობის აღკვეთა.

ჩინეთი

ჩინეთის მემარცხენე მწერალთა ლიგა.

გასულ წელს გომინდანელებმა გაანადგურეს „ჩინეთის მემარცხენე მწერალთა ლიგა“. ლიგის ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი მოკლეს და დააპატიმრეს. ლიგის ხუთი წევრის სიკვდილით დასჯამ (1931 წ. თებერვალში) უღრმესი აღშფოთება გამოიწვია მთელი მსოფლიოს მოწინავე ინტელიგენციაში. უსასტიკესი რეპრესიები გომინდანელების და იმპერიალისტების მხრით დღემდე გრძელდება.

მიუხედავად ამისა, ლიგის მუშაობა კვლავ გაცხოველდა. გამოიცა ლიგის ცენტრალურ ორგანოს „ავანპოსტი“-ს ათამდე ნომერი. ეს ჟურნალი შემდეგ გადაკეთდა „ლიტერატურულ ლიდერად“. ლიგაში შევიდნენ ახალი რევოლუციონური მწერლები. სხვადასხვა ქალაქებში მოეწყო ლიგის ფილიალები.

„ლიტერატურული ლიდერი“ გამოდის არალეგალურად. მის ნომრებში მოთავსებულია საინტერესო მასალა. ასეთია, მაგ. „მარქსისტული ლიტერატურათ მცოდნეობის შემსწავლელი ბრიგადის“ საფუძვლიანი თეზისები, ემი სიაოს ვრცელი წერილი რევოლუციონურ და პროლეტარულ მწერალთა მსოფლიო კონფერენციის (ხარკოვის) შედეგებზე, რ.მ.ს. გაერთიანების პროტესტი ხუთი რევოლუციონერი მწერლის მკვლელობის გამო შანხაიში, ლიგის მოწოდება მანჯურიის ამბებთან დაკავშირებით და სხ.

სალიტერატურო განყოფილებაში, სხვათა შორის, დაბეჭდილია საინტერესო ლექსი „იაპონიის მიერ მანჯურიის დაპყრობის წინააღმდეგ“. აღსანიშნავია, რომ ლექსი დაწერილია ორ დიალექტზე— შანხაის და ჩრდილოეთის. ენის საკითხი ჩინეთში მწვავედ დგას. არსებობს მრავალი დიალექტი, რომლებიც ძალზე განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, რაც აფერხებს მშრომელთა გაერთიანებას და პოლიტიკურ-კულტურული დონის ამაღლებას. ბურჟუაზია და მემამულენი ცდილობენ შექმნან ერთი ხელოვნური ენა. ამით კულტურა უფრო მიუწვდომელი გახდებოდა მშრომელებისათვის. პროლეტარიატი იბრძვის ცოცხალი, მშობლიური ენების უფლების ცნობის და ჩინური ანბანის ლათინიზაციისათვის.

ამ ბოლო დროს „მემარცხენე მწერალთა ლიგამ“ ბევრი რამ გააკეთა-მასიური ლიტერატურის შექმნისათვის. ლიგის მასიური ლიტერატურის სექტორი დაუკავშირდა წითელ პროფკავშირებს და ახალებს მუშაობას უშუალოდ მუშებს შორის. აწყობს მუშათა ლიტწრეებს, არის საკუთარი პროლეტარული ლიტერატურის შექმნის ცდები.

ლიგამ გამოსცა მთელი რიგი წიგნაკები და ფურცლები, სადაც მოთავსებულია მოკლე მხატვრული ნაწარმოებნიც იაპონიის მტაცებლური პოლიტიკის წინააღმდეგ. წიგნაკები ხალხური ენითაა შედგენილი და ფართოდ ვრცელდება მასებში. [illegible] დაისახა: გამოეხმაუროს მთელი რიგი პოპულიარული თხზულებებით სადღეისო სა[illegible] საკითხებს, გამოსცეს გომინდანელთა მამხილებელი წიგნაკები, შექმნას ასეული სალიტერატურო ორგანიზაციები და სხ. ამავე დროს ლიგა დიდ მუშაობას აწარმოებს ლიტწრეების მოწყობისათვის სკოლებსა და უნივერსიტეტებში.

ცენტრალურ ორგანოს გარდა, რომელიც არალეგალურად გამოდის, ლიგა ხელმძღვანელობს რამდენიმე ლეგალურ და ნახევრად ლეგალურ ჟურნალს, რომლებიც მიზნად ისახავენ ფართო მასების დარაზმვას არსებული რეჟიმის წინააღმდეგ და მათ პოლიტიკურ გათვითცნობიერებას.

საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოება

შანხაის ახალი ყოველკვირეული ჟურნალი „ჩაინა ფორუმ“-ი იუწყება, რომ შანხაის ახალგაზრდა მწერლების ჯგუფმა ზოგიერთ პროფესორებთან ერთად დაარსა „საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოება“. საზოგადოებას განზრახული აქვს სერიოზულად შეუდგეს საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის შესწავლას და მისი საგარეო პოლიტიკის გაშუქებას. შესაძლებელია, რომ საზოგადოება გამოსცემს თავის ბეჭდვითი ორგანოს. საზოგადოების სათავეში დგას ლიტერატურისა და კულტურის ჟურნალი „ისტეპნ მისელანი“-ს რედაქტორი ხუ იუ-[illegible], რომელმაც ამ რამდენიმე ხნის [illegible] ინახულა საბჭოთა კავშირი.

ამერიკა

რევოლუციონერ მწერალთა, ჟურნალისტთა და მუშკორთა კონფერენცია

ა. წ. დასაწყისს ნიუ-იორკში შესდგა ყველა ეროვნების რევოლ. მწერალთა, ჟურნალისტთა და მუშკორთა კონფერენცია. ეს პირველი შემთხვევაა ამერიკის ლიტერატურული მოძრაობის ისტორიაში. კონფერენციაში მონაწილეობას ღებულობდა 60 დელეგატამდე, რომელთა უმრავლესობა იყო სალიტერატურო ორგანიზაციების ან რევოლუციონური გაზეთების და ჟურნალების წარმომადგენლები.

კონფერენციის ძირითად ამოცანას შეადგენდა უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება ნიუ-იორკის ლიტერატურულ და მუშკორულ მოძრაობას შორის. კონფერენციამ მოისმინა ჯონ რიდის სახ. კლუბის წარმომადგენლის ა. მაგილის მოხსენება და ე. ოსტინის (უნგრელ პროლეტარულ მწერალთა კავშირის წარმომადგენლის) თანამოხსენება, რომელთა გარშემო გაიშალა გაცხოველებული კამათი.

კონფერენციამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლუცია მთელ მსოფლიოს რევოლუციონურ მუშათა, გლეხთა და რევოლუციონურ მუშათა, გლეხთა და რევოლიაღმდეგ და კენტუკის შტატის გუბერნატორის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მოითხოვდა გაეთავისუფლებინათ ქვახახშირის მრეწველობის მუშათა რევოლუციონურ ბრძოლასთან დაკავშირებით დაპატიმრებული ყველა მუშები და რევ. მწერლები.

სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისაგან არჩეულ იქნა დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ამოცანაა ხელი შეუწყოს იმ ეროვნებათა მწერლების და მუშკორების გაერთიანებას, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეუქმნიათ სათანადო ორგანიზაციები, და ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა ახალი კონფერენციის მოსაწვევად. ეს კონფერენცია უნდა შესდგეს უახლოეს მომავალში, მან საფუძველი უნდა ჩაუყაროს რევოლ. მწერალთა, ჟურნალისტთა და მუშკორთა ფედერაციას, რომელიც სექციის სახით შევა მუშათა კულტურულ ორგანიზაციების ფედერაციის შემადგენლობაში

11

ბერნარდ შოუს სიტყვა

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ გადაცემული ამერიკის რადიოთი*)

გამარჯობა ამერიკა... გამარჯობა ჩემო მეგობრებო ამერიკაში! როგორ არის თქვენი საქმე, ძველო გულუბრყვილო ხალხო, ერთი თვე, რომ ერთიმეორეს უამბობთ თითქოს მე ტყუილს ვლაპარაკობ რუსეთის შესახებ...

თუ სწორია უკანასკნელი ცნობები თქვენი საქმეების შესახებ, უეჭველია არ იქნებით კარგ ხასიათზე... ეხლა რუსეთი ჩვენ დაგვცინის, რუსეთმა ჩვენ სულელებად გადაგვაქცია, შეგვარცხვინა და სასაცილოდ გაგვხადა, კუდში მოგვიგდო და ლამის არის წაგვაქციოს. ჩვენ მას უკითხავდით ლექციებს ჩვენი ცივილიზაციის უპირატესობის სიმაღლიდან, ეხლა კი გმირულ ზომებს ვიღებთ, რომ დავფაროთ რუსეთისაგან ჩვენი სირცხვილის სიწითლე.

ჩვენ მას ვაგინებდით უღმერთობისათვის, ეხლა კი რუსეთს მზე უბრწყინავს, როგორც ქვეყანას, რომელსაც უფალი სწყალობს. ჩვენ კი თავზე დაგვეცა მისი რისხვა და აღარ ვიცით ვის მივმართოთ დახმარებისათვის? ვინ გაგვამხნევებს!..

ჩვენ ვამაყობდით ჩვენი ოსტატობით, მსხვილ საქმეებში და იმითაც, რომ მათ აქვთ მძლავრი საფუძველი, იმის წყალობით, რომ ჩვენ ვიცნობთ ადამიანის ბუნებას, ეხლა კი ჩვენ გავკოტრდით.

თქვენს პრეზიდენტს, რომელიც იმით ამაყობდა, რომ მილიონებს ჰკვებავდა ომით გაჩანაგებულ ევროპაში, ეხლა მშვიდობიანობის დროსაც კი აღარ შეუძლია თავისი საკუთარი ხალხის გამოკვება. ჩვენი ფინანსისტების სასოწარკვეთილების კივილმა მთელს მსოფლიოს დაჰკრა გამოძახილით, და გამოიწვია ინგლისურ ბანკებიდან ამანათების საყოველთაო გამოტანა და ამით ის გაანიავა.

ჩვენი ინგლისის ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს 350 მილიონ დოლარს, თქვენი ამეკის დეფიციტი 500 მილ. დოლარს, ჩვენი საქმოსნები ვერ პოულობენ სამუშაოს სამ მილიონ მუშისათვის, თქვენებმა კი ორჯერ მეტი მუშები გამოყარეს ქუჩებში. ჩვენი სახელმწიფო მოღვაწეთ ოკეანის ორივე მხარეს უკეთესი ვერაფერი მოუფიქრებიათ,

გარდა იმისა, რომ თავები დაუხეთქონ უმუშევრებს, ან და დაურიგონ უმნიშვნელო დახმარება და მიმართონ ქველმოქმედებას. ჩვენი სოფლის მეურნეობა დაქცეულია და ჩვენი მრეწველობა ინგრევა საკუთარ სიმძიმის ქვეშ, რადგან ვერ მოვიფიქრეთ, როგორ გავანაწილოთ ჩვენი სიმდიდრე და როგორ ავწიოთ შრომის ნაყოფიერება.

ამ პოლიტიკურ უკომპეტენტობისა და პოლიტიკურ უმწეობისა და შერყეულ ფინანსიურ მდგომარეობის საპასუხოდ რუსეთი ამოჰყოფს თავს საბიუჯეტო აქტივით, რომელიც 750 მილიონ დოლარს შეადგენს, მისი მოსახლეობა უკანასკნელ მამაკაცისა და დედაკაცის გამოუკლებლივ ჩაბმულია სამუშაოში, მისი მეცნიერულად დაყენებული სოფლის მეურნეობა თავის მოსავალს ორჯერ და სამჯერ ადიდებს.

ის ბრწყინავს მთელი თავისი ძალით მომუშავე ახალი ფაბრიკებით, თავისი ნიჭიერი მმართველობით, თავისი იმედისა და უზრუნველყოფის ატმოსფეროთი, იმ ატმოსფეროთი, რომელიც აქამდე არ ახსოვს არც ერთ განათლებულ ქვეყანას..

ბანდიტები და დამტყუებლები

ბუნებრივია, რომ ჩვენ რუსები უდიდეს ზიზღით გვიცქერიან.

— სულელები ხართ, გვეუბნებიან ისინი, რატომ არ აკეთებთ იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ.

თქვენ არ შეგიძლიათ სამუშაო მისცეთ და გამოკვებოთ თქვენი მოსახლეობა. ძალიან კარგი, გამოგვიგზავნეთ ჩვენ და თუ ისინი ამის ღირსნი არიან, ჩვენ იმათ მივცემთ სამუშაოს და გამოვკვებავთ.

თქვენ არც კი შეგიძლიათ დაიცვათ თქვენი მოქალაქენი უბრალო ქურდობისაგან და მკვლელობისაგან, თქვენ არ შეგიძლიათ დაუშალოთ თქვენ შეიარაღებულ ბანდიტებს და დამტყუებლებს ქუჩებში ყოველდღე ატრიალონ რევოლვერები.

ძალიან კარგი, გამოგვიგზავნეთ აქ და თქვენ ისინი შემდეგ არ შეგაწუხებენ..

ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ იყონ კარგი მოქალაქენი რუსეთში, არასდროს არავის რა შეაწუხებენ.

რა შეგვიძლია ჩვენ ამაზე ვუპასუხოთ, ეს ყველაფერი მართალია და ამიტომ უეჭველია, ეს არ არის სასიამოვნო!.

ასე იყოს, მე გეტყვით სანუგეშოს ერთ ორ სიტყვას.

ჰენრი ჯორჯი, შემდეგ მარქსი

როცა მე ახალგაზრდა კაცი ვიყავი, ჩემზე დიდი გავლენა იქონია ერთმა ამერიკელმა, სახელად ჰენრიხ ჯორჯმა, რომელმაც მე ამიხილა თვალი და მე ვიგრძენი მისი მითითების ასრულების აუცილებლობა, და აი მე გავეცანი კარლ მარქსის მოძღვრებას, რომელმაც უფრო ფართოდ გამიხილა თვალი და მე სრულიად ნათლად ვიგრძენი, რომ ჩვენი კაპიტალისტური სისტემა უნდა გათავდეს ცივილიზაციის გაკოტრებით.

1914 წელს ჩვენმა იმპერიალისტებმა ომში ჩაგვითრიეს, თქვენ ცდილობდით არ მიგეღოთ მონაწილეობა ამ ომში, მაგრამ თქვენ მაინც თავზე მოგახვიეს ომი.

თქვენი წყალობით ომს, იმის მაგიერ, რომ გაეკეთებია ის, რაც სურდათ იმპერიალისტებს, მოჰყვა სამი იმპერიის განადგურება და ევროპა მეფეების კონტინენტიდან იქცა რესპუბლიკანურად და ერთად-ერთი ევროპის სახელმწიფო, რომელიც უფრო დიდი იყო, ვიდრე შეერთებული შტატები, შეიქნა კომუნისტურ რესპუბლიკების ფედერაციად.

ეს ხომ ის არ არის, რასაც თქვენ ელოდით?

სჯობს გამოტყდეთ!

თქვენ ახალგაზრდობას იმიტომ კი არ აგზავნიდით ამ სასაკლაოზე, რომ მისალმებოდა კარლ მარქსს და გაემეორებია მისი ლოზუნგი: „— პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით".

მაგრამ, ნამდვილად კი ასე მოხდა.

აფრთხილებს რუსეთში წასვლის მსურველებს

ეხლა მომეცით ნება მოგცეთ რამდენიმე დარიგება რუსეთში მოგზაურობის შემთხვევისათვის.

თუ თქვენ ხართ კვალიფიციური მუშა, განსაკუთრებით მანქანის მშენებლობის მრეწველობისა და თუ თქვენ გამოსადეგი [illegible] და ხასიათი გაქვთ (რუსეთში ძალიან ერჩიან ხასიათს), მაშინ თქვენ არ შეგხვდებათ დიდი სიძნელე.

ძალიან გაუხარდებათ კიდეც თქვენი მიღება.

ყველა ქვეყნის პროლეტარები იქ სასურველი სტუმრებია, თუ ისინი ნამდვილად შესძლებენ რუსეთის მშენებლობის დახმარებას.

მაგრამ, თუ თქვენ არ შეგიძლიათ მუშაობა და წარმოადგენთ უსარგებლო ლედის ან ჯენტლმენს, და გაქვთ დიდი ფული. მაშინ თავაზიანად მოგცემენ ამ ფულის დახარჯვის საშუალებას და კომფორტსაც მოგაწყობენ.

მაგრამ თუ თქვენ ძუნწი ხართ და ათ მანეთზე ნაკლებს დახარჯავთ დღეში, მაშინ ისინი თქვენ გაიძულებენ დამატებით დახარჯოთ განსხვავება.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ მათი გრძნობა თქვენდამი იქნება შერეული, იქ იქნება თქვენი შეცოდება, როგორც ამერიკანულ კაპიტალიზმის საშინელებისაგან გამოქცეულის მიმართ, თქვენი პოლიტიკურ სისუსტის უდიდესი სიძულვილი და ეს სიძულვილი კი იმაში გამოიხატება, რომ თქვენ ვერ შესძელით კომუნიზმის შექმნა თქვენ საკუთარ უბედურ ქვეყანაში.

მაგრამ ისინი იქნებიან მეგობრულად განწყობილი და დაგეხმარებიან ყოველმხრივ, ისე, როგორც გზადაბნეულ მშიერ მაიმუნს და თუ თავაზიანი იქნებით, ისინი გულზე მიგიკრავენ და პატარა შემთხვევას არ გაუშვებენ, რომ არ გიამბონ თავიანთი ცხოვრების ამბავი.

რუსეთი არ არის „სამოთხე"

მაგრამ თქვენ იქ სამოთხეს მაინც არ უნდა ელოდეთ. რუსეთი ძალიან ვრცელია და რა მთავრობაც არ უნდა ყოფილიყო, ვერ შესძლებდა 14 წლის განმავლობაში თავი დაეღწია სიღარიბისა, უმეცრებისა და ჭუჭყისაგან, რომელიც თვითმპყრობელობამ დასტოვა.

მაგრამ იქ ყველგან მეფობს იმედი, რომ ყველა ეს უბედურება კომუნიზმის ზრდასთან ერთად გაჰქრება, მაშინ, როდესაც ჩვენთან ეს უბედურება თანდათან იზრდება გაკოტრებულ კაპიტალიზმის აგონიაში.

კაპიტალიზმი ფიქრობს თავი დააღწიოს დაღუპვას ხელფასის შემოკლებით, ტარიფების გადიდებით და მიმართოს გაუმაძღრობისა და გაველურების დამალულ ელემენტებს, რომელიც უნდა გამოიყენოს ყაჩაღურ ომში, პატრიოტიზმის ნიღბის ქვეშ.

მაგრამ უმრავლესობა თქვენგანი, იმედი მაქვს, წავა იქ, მტკიცე დარწმუნებით, რომ უბედურება ჩვენ სიღატაკეში კი არ არის, ეს ასახსნილია ბუნებრივი მიზეზებით, არამედ, უბრალო ჭკუის სიბლაგვეში, საძაგელ მმართველობაში და საზოგადოებრივ ინტერესების მცონარულ უარყოფაში, პირადი ეგოიზმის ინტერესების და ვულგარულ პატივმოყვარეობისათვის.

თქვენ ალბათ, გაგიგონიათ, რომ რუსეთმა ამას ბოლო მოუღო და მოგინდებათ ნახოთ, როგორ გაბედეს ეს. რადგან ის, რაც რუსებმა შესძლეს გაეკეთებიათ, შეგიძლიათ თქვენც გააკეთოთ.

თქვენ შეგიძლიათ იფიქროთ, რომ შეძლებთ ამის გაკეთებას. მაგრამ ეს არ არის სწორი.

ამჟამად თქვენ ჰგავხართ ბასტილიის ძველ პატიმარს, რომელიც გამძაფრებული ხერხავს თავის ფანჯარის დარაბას საათის ზამბარით, და ვერ ამჩნევს, კარები ფართოთ როგორ გაღებულია.

თქვენ ალბათ, სულ ასე ხერხავთ ამერიკაში, სანამ არ დაიხოცებით, მაგრამ იმედი მაქვს თქვენი შვილები თქვენზე ჭკვიანები იქნებიან და [illegible] ამ ცივილიზაციის ასპარეზზე შეჯიბრში არ ჩამორჩებიან.

---

*) ეს სიტყვა დაბეჭდილია ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ორგანო „ფორვარდ"-ში 1932 წლის 30 აპრილს, ვათავსებთ ამ სიტყვის შემოკლებულ თარგმანს.

—რედაქცია—

სათეატრო მშენებლობა რაიონებში

მრავალი რაიონი დღემდე უთეატროთაა. თეატრისათვის შესაფერი შენობის უქონლობის გამო რაიონებში შეუძლებელი ხდება თეატრალური ხელოვნების გაშლა და საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება. ესაა ერთი მთავარი მიზეზი იმის, რომ რაიონებში წარმოდგენებს მართავენ შემთხვევითი პირები და ხალხს ხელოვნების მაგიერ აწვდიან ხალტურას.

ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებმა დროა იფიქრონ სათეატრო მშენებლობაზე და ამ საქმეში სავსებით გამოიყენონ ყოველგვარი საშუალებანი. კერძოდ, ცენტრალურმა დაწესებულებებმა, რომელთაც განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ ამა თუ იმ რაიონთან, შესაფერი თანხები უნდა გაიღონ სათანადო რაიონში სათეატრო მშენებლობისათვის.

ამავე მიმართულებით მეტი უნარისა და მოქმედების გამოჩენა მართებს განათლების სახ. კომისარიატის სახელოვნო განყოფილებას, რომლის ყურადღება, სამწუხაროდ, არ სცილდება თბილისის ფარგლებს.

ასეთ პირობებში უთუოდ მისასალმებელი და სამაგალითოა საქ. კოლმეურნეობათა ცენტრის მოქმედება. საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრმა მთლიან კოლექტივიზაციის რაიონში—ლანჩხუთში თეატრის შენობის ასაგებათ გადასდო 50000 მანეთი.

დანარჩენ თანხების გამოსანახად და თეატრის შენობის აგებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად დაარსდა სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: ს. თოდრია (თავმჯდომარე), გ. გუგუნავა (პ.-მგ. მდივანი), კ. გორდელაძე, ი. ი. ფანცხავა, გ. გუხნიკაშვილი, დ. ვოლსკი, გ. ხუხუნაშვილი, გ. შავგულიძე, დ. ურუშაძე; ა. რამიშვილი, გ. რაზმაძე და მ. ფაცურია.

განზრახულია, ლანჩხუთში სათეატრო შენობის აგება დაიწყოს ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავზე.

სიძველეთა აღმოჩენა

სოფ. შილდას მახლობლად (კახეთი) გზატკეცილის გაყვანისას მუშებმა აღმოაჩინეს ძველი სამარეები და სხვადასხვა არქეოლოგიური მნიშვნელობის ნივთები. ასეთივე ნივთები იპოვეს გურჯაანის ახლო.

ცნობის მიღებისთანავე, საქართველოს მუზეუმმა ადგილობრივ მიავლინა არქეოლოგი ნიორაძე, რომელიც უკვე დაბრუნდა და თან ჩამოიტანა აღმოჩენილი ნივთები. ამ ნივთებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თიხის ძველი ჭურჭლები თავიანთი იშვიათი ყალიბითა და მოყვანილობით, ხელიანი სამფეხა ჯამები ლამაზი ჩუქურთმებით, თასები; ოსური ქოთნები, მომცრო ზომის ბრინჯაოს სამაჯურები, ვერცხლის თასის ფრაგმენტები, შუშის წვერები, ცხენის მოსართავები და სხ.

ყველა ეს ნივთები, სპეციალისტების დასკვნით ეკუთვნიან მეექვსე საუკუნეს.

მივაწოდოთ წიგნი სოფელს

1 ივნისიდან იწყება წიგნების შეგროვება სოფლისთვის

მშრომელთა მასების კულტურული დონის სწრაფად ზრდამ უდიდესი პერსპექტივები გაშალა ლიტერატურის განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში. ოდესღაც ჩამორჩენილი სოფელი დღითი-დღე თავისუფლდება წარსულის მძიმე მემკვიდრეობისაგან. წერა-კითხვის უცოდინარობის საბოლოო ლიკვიდაცია და საყოველთაო - სავალდებულო სწავლებაზე გადასვლა მთელს ჩვენს ქვეყანაში უკვე დღის წესრიგშია დაყენებული.

კულტმშენებლობის ასეთმა ბუმბერაზულმა ზრდამ გაზარდა მოთხოვნილება წიგნზე, რომლის ტირაჟი მშრომელთა ფართო მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს. წიგნის ნაკლებობას გრძნობს არა მარტო სოფელი, არამედ ქალაქიც, წიგნის დიდ ნაკლებობას განსაკუთრებით განიცდიან საკოლმეურნეო ბიბლიოთეკა - სამკითხველოები სოფლად, რომელნიც ხშირად უარით ისტუმრებენ წიგნისათვის მისულ კოლმეურნესა და გლეხს.

ცხადია, ამ მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება შესაძლებელია, წიგნის ტირაჟის მაქსიმალური გამრავლებით, მაგრამ ვიდრე არ აღმოფხვრილა ქაღალდის ნაკლებობა ჩვენს ქვეყანაში, უნდა გამოინახოს სხვა შესაძლებელი ზომები, მშრომელთა მასების ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ლენინური კომკავშირის საქ. ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება ქალაქებში და სამრეწველო რაიონებში დაიწყოს წიგნების მასიური შეგროვება სოფლისათვის. ამ დადგენილების მიხედვით სოფლისათვის წიგნების შეგროვების საქმეში უნდა ჩაებან კომკავშირული-პიონერული ორგანიზაციები, რომელთაც უნდა მიიზიდონ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

წიგნების შეგროვება დაიწყება ა-წ. პირველ ივნისიდან და ამ საქმის სახელმძღვანელოდ კომკავშირის ორგანიზაციებთან მოეწყობილია სპეციალური კომისიები საბჭ. პარტიულ, პროფესიონალურ და ლიტერატურულ ორგანიზაციების მონაწილეობით.

სოფლისათვის წიგნების შეგროვებას ხელმძღვანელობს საქ. კომკავშირი. ამ საქმემ ერთსულოვანი გამოხმაურება უნდა პოვოს საქ. საბჭოთა მწერლობაში. თვითეულმა მწერალმა თავის ბიბლიოთეკიდან უნდა გაიღოს სოფლისათვის გამოსადეგი და საჭირო წიგნები, რამდენიც კი შეეძლება.

ამ გზით სოფელი მიიღებს მრავალ ათეულსა და ათას მისთვის საჭირო წიგნს, რომელნიც ამ ჟამად სრულიად გამოუყენებლად და უსარგებლოდ აწყვია ჩვენი საწიგნეების თაროებზე.

შემომაქვს სოფლის სამკითხველოებისათვის ორმოცი წიგნი და ვიწვევ ამხ. რ. გვეტაძეს, ტ. ტაბიძეს, კ. ლორთქიფანიძეს, ალიო მაშაშვილს, ს. ჩიქოვანს, გ. ნატროშვილს, დ. ბენაშვილს, ბ. ჟღენტს, ს. კლდიაშვილს, გ. ლეონიძეს, ს. ეულს და კ. სამსონიძეს.

პ. ჩხიკვაძე.

სოფლის სამკითხველოებისათვის შემომაქვს ორმოცი წიგნი და ვიწვევ შემდეგ მწერლებს: შ. რადიანს, ნ. ზომლეთელს, ი. ვაკელს, პ. სამსონიძეს, ს. ეულს.

ი ლისაშვილი.

—:—

ამხ. პ. ჩხიკვაძის გამოწვევით სოფლის სამკითხველოებისათვის შემომაქვს 25 წიგნი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლეო ქიაჩელს, ნ. მიწიშვილს, ბ. ბიბინეიშვილს, ილო მოსაშვილს, ალ. ქუთათელს, ლ. ასათიანს, შ. აფხაიძეს, გრ. ცეცხლაძეს.

რაჟდენ გვეტაძე.

—:—

სოფლის სამკითხველოებისათვის ამხ. რ. გვეტაძის გამოწვევით შემომაქვს 50 წიგნი. ვიწვევ დემნა შენგელაიას, აკ. გაწერელიას, კარლო კალაძეს.

ლევან ასათიანი.

წიგნის ბაზრობა

18 მაისიდან თბილისში გაიხსნა წიგნის ბაზარი, ბაზრობა გასტანს პირველ ივნისამდე. ბაზრობაში მონაწილეობს წიგნით მოვაჭრე ყველა პუნქტი და გამომცემლობა. წიგნით სავაჭროებში მოწყობილია ფასდაკლებულ წიგნების გამოფენები და მომგებიანი ლატარიები.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის ბაზრობა წელს ვერ არის დამაკმაყოფილებლად მოწყობილი. წიგნით სავაჭროების ბაზრობის არაფერი ეტყობათ—არც ლოზუნგები, არც პლაკატები.

ამ ბაზრობას უმთავრესად აქვს კომერციული ხასიათი. ბაზრობასთან დაკავშირებით მეტწილად გამოფენილია და ფასი დაკლებული აქვს დაბალ ხარისხიან და უხეირო წიგნებს. ლატარიაშიც ისეთ წიგნებს აწვდიან მსურველებს, რომელთაც არავითარი ღირებულება მოეპოვებათ

საერთოდ ბაზრობის საშუალებით სახელგამს და სხვა გამომცემლობებს სურთ „გაასაღონ" საწყობებში წლობით დამტვერული წიგნები, რაც სრულებით არ შეადგენს წიგნის ბაზრობის მიზანს.

წიგნის ბაზრობის მიზანია ფართო მასებში წიგნის შეტანა და მისი პოპულიარიზაცია, მასების დაინტერესება წიგნით და სხ., რაც წელს დავიწყებული იქნა.

ქართული მხატვრობის ნიმუშები უკრაინაში

ამ ზაფხულზე უკრაინაში ჩატარდება ქართული კულტურის დეკადა. ამასთან დაკავშირებით უკრაინის სახელგამი აპირებს გამოსცეს ქართულ მხატვრობის (ძველისა და ახალის) ნიმუშები.

უკრაინის სახელგამმა სთხოვა საქართველოს სახელგამს მიაწოდოს მას ხარკოვში ქართულ მხატვრობის ნიმუშების დედნები.

სახელგამის მიერ გამოყოფილ იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა შეარჩიოს ძველისა და ახალ მხატვრობის ნიმუშები.

ხელსაქმის გამოფენა

15 მაისს საქართველოს მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილია ქართული ხელსაქმის ნიმუშები (ოჯახში სახმარი ნივთები ოქრომჭედლურ მოკაზმულობით, ნაქარგი ქსოვილები და სხვ.).

გამოფენა ითვალისწინებს მე-18 საუკუნის დამლევიდან მე-19 საუკუნის უკანასკნელ პერიოდს. ქსოვილები, თავის სახეებით, ფერად შეზავებით და საერთო ნაკეთობით გვიმტკიცებენ, თუ როგორ ისპობოდა ფეოდალური წყობა და მის წიაღში როგორ „იკიდებდა ფეხს ბურჟუაზიული წესწყობილება".

გამოფენაზე წარმოდგენილია სხვადასხვა კლასების ნახელავთა ნიმუშები, რომელთა შორის დიდი კლასობრივი განსხვავებაა, რაც აიხსნება იმით, რომ ბატონყმობის მეხელსაქმენი, უმთავრესად,—ყმათა ცოლები იყვნენ. ცხადია, უკანასკნელებს ბატონთათვის გაკეთებულ ქსოვილებსა და ნაქარგებში შეჰქონდათ თავისი კლასის მოტივები, როგორც ფერადების შეზავებით, ისე სახეების დამზადების მხრივ.

მორიგ გამოფენას, რომელსაც საქართველოს მუზეუმი ამ მოკლე ხანში აწყობს, მიზნად აქვს დასახული პრაქტიკულად შეუწყოს ხელი კოლმეურნეობებს და საერთოდ, სოფლის მეურნეობას. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სოფლის მეურნეობის მავნებლები, ნაჩვენები იქნება აგრეთვე მათ საწინააღმდეგო ბრძოლის მეთოდები, რომელსაც წინათ მიმართავდნენ და ნაჩვენები იქნება ბრძოლის ის ხერხებიც, რომელსაც ეხლა მივმართავთ.

თანამედროვე მუსიკალური ლიტერატურა ბეთხოვენზე

გერმანიაში ყოველწლიურად იცემა მონოგრაფიები ბეთხოვენზე ვ. ფონ ლენცის, ვასილევსკის, ა. [illegible], ნოჰლის, გრილპარცერის. რ. როლანის და სხვათა ცნობილ გამოკვლევათა შემდეგ რაიმე ღირსშესანიშნავის თქმა ძნელია. ბეთხოვენის მრავალმხრივ და ტიტანიურ ტალანტის დაფასებას საკმაოდ დიდი დრო და ჯაფა შესწირა გერმანულმა მეცნიერებამ.

მიუხედავად ამისა ცალკე გამოკვლევებისა და მონოგრაფიების გამოცემა დღემდე დიდი ინტენსივობით გრძელდება. გერმანულ ბიბლიოგრაფიულ ჟურნალებს მოაქვთ ცნობები ახალი წერილისა და შრომების შესახებ, მათი შინაარსის მოკლე გადმოცემით.

გერმანული მუსიკალური თეორიისა და ისტორიის ჟურნალ „დი ოპერმუზიკ"-ში უკანასკნელ ხანებში მოთავსებული იყო ფ. გრილპარცერის წერილი ბეთხოვენის სიმფონიებზე.

მასვე ეხებოდა კ. ჰუშკეს წერილი. „გერმანულ მუსიკალურ გაზეთში" დაისტამბა ჰ ვერშაუერის გამოკვლევა „200 მეტრი ბეთხოვენისა".

ყველა ეს კვლევანი ეხებიან ბეთხოვენის უდიდეს ნოვატორობას მუსიკაში.

ბეთხოვენი გენიალური სიმფონისტია. ის წარმოადგენს სრულ წინააღმდეგობას მის მოვლენამდე არსებულ მუსიკალური სკოლებისა და ტალანტების. უდიდესი ენტუზიაზმი და გმირული ჰეროიზმი მისი სიმფონიებისა რადიკალურად მიჯნავს ამ უკანასკნელს მოცარტისეულ ლირიზმისა და გაიდნის უბრალო ოპტიმიზმისაგან.

ბეთხოვენი რიტმის უდიდესი ოსტატია, (გოეტის მღელვარე და რიტმიული სიტყვით დაწერილ ლექსებს ბეთხოვენმა მისცა უშესანიშნავესი მუსიკალური ინტერპრეტაცია (კლერხენის სიმღერები „ეგმონტიდან", „სიმღერა რწყილზე" და სხვა).

ბეთხოვენის მუსიკალურმა გენიამ თავი იჩინა უმთავრესად სიმფონიების ტრადიციული კომპოზიციის დარღვევაში, როგორც დეკანონიზატორმა და როგორც ახლის შემქმნელმა ერთსა და იმავე დროს. სრულყოფილ და დასრულებულ გამოხატულებას ასეთი გენიისა ჩვენ ვპოულობთ „მეცხრე სიმფონიაში".

ბეთხოვენს დიდხანს აწვალებდა მეცხრე სიმფონიის დაწერის იდეა, ისევე, როგორც გოეთეს თავისი ფაუსტი. (პირველი ნაწილის მუსიკალური ესკიზები გვხვდება ჯერ კიდევ 1809 წ.) რიხარდ ვაგნერის (ბეთხოვენის დიდი თაყვანისმცემლის) აზრით ბეთხოვენის ერთი უდიდესი დამსახურებათაგანი მუსიკაში ის არის, რომ ის შეეცადა ინსტრუმენტალ მუსიკის ბანკროტობიდან გამოყვანას. აბსოლუტური დომინანტა ბგერადობისა და აზრითი მომენტების სრული დეფორმაცია მან შესცვალა სიტყვისა და ბგერის [illegible]ციული დაახლოვებით, ერთგვარი [illegible]რატურიზაციით მუსიკალური სიმფონი[illegible]სა. (მაგ. ვოკალური, სოლო[illegible] რის კვარტეტების შეტანა „მეცხრე [illegible]ნიაში") ვაგნერის ამ აზრს ამჟამ[illegible] აღმდეგობას უწევენ, თუმცა მოიპ[illegible] დამცველებიც. ყოველ შემთხვევაში [illegible]ნერის განცხადებაში ჭეშმარიტება [illegible] წილია.

ზემოდ მოყვანილი ავტორების წერილები ამ ძირითადი პრობლემების შესახებ მოგვითხრობენ, (რასაკვირველია დეტალიზაციითა და დოკუმენტაციით) მაგრამ რაც მთავარია ბეთხოვენის შემოქმედებაში ის მათ მხედველობიდან აქვთ გაშვებული.

ბეთხოვენის სიმფონიები (კერძოდ „მეცხრე") წარმოადგენს უდიდეს ჰიმნს კაცობრიობის განთავისუფლებისა, მთელი თავისი მუსიკალური გენიით ბეთხოვენი რევოლუციონერი იყო და არა კონსერვატორი.

ბეთხოვენის სტილის საინტერესო ანალიზი მოცემული აქვს ვერშაუერს. მაგრამ ყველა ზემოდ დასახელებული კვლევები არ სცილდებიან სპეციალურ საკითხებს და ნაცნობ, ფსიქოლოგისტურ განმარტებებს.

განი.

შემოქმედებითი დისკუსიის ტრიბუნა

რამდენიმე შენიშვნა

ამხ. ბენაშვილის წერილის შესახებ—პ. ჩხიკვაძე—„სართულები"

„სალიტერატურო გაზეთი"-ს № 8-ში მოთავსებულია ამხ. დ. ბენაშვილის წერილი ამხ. პანტელ. ჩხიკვაძის „სართულები"-ს შესახებ.

არავის არ უნდა და ალბად ჭკუათმყოფელს არ მოუვა ფიქრად ამხ. პ. ჩხიკვაძის, როგორც მწერლის შემოქმედების დისკრეტიზაცია. ამხ. ჩხიკვაძე საკმაოდ ძლიერი ძალაა ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ არც კაზიონური ოპტიმიზმია მარქსისტულ კრიტიკის საქმე. ვფიქრობთ, მარქსისტულ კრიტიკის ერთ-ერთ დანიშნულებას უნდა შეადგენდეს ბრძოლა ბოლშევიკურ პრინციპიალობის პოზიციებიდან, პიროვნების განურჩევლად, ყველა შეცდომების და გადახრების წინააღმდეგ. ყოველივე ეს ამხ. დ. ბენაშვილისათვის, როგორც მის წერილიდან სჩანს, არ ყოფილა სავალდებულო და იგი პ. ჩხიკვაძის შემოქმედების და განსაკუთრებით „სართულები"-ს გარჩევას უდგება ჯგუფობრივი თვალსაზრისით. მივყვეთ ფაქტების ლოღიკას და თვით ფაქტები მიგვიყვანენ ჭეშმარიტ დასკვნამდე.

საქმე შემდეგშია: როგორც „სალიტერატურო გაზეთში" მოთავსებულ ბენაშვილის წერილიდან სჩანს, პ. ჩხიკვაძე სათავეს უქმნის პროლეტარულ მწერლობაში პროზას. ეს უხეში შეცდომაა. მაგრამ სანამ საკითხის არსებით მხარეზე გადავიდოდე, გვინდა ზოგიერთი რამ გავახსენოთ დ. ბენაშვილს თავის წარსულ წერილებიდან პ. ჩხიკვაძის „სართულების" შესახებ. დ. ბენაშვილი ჟურ. „დროშა"-ში 1930 წ. № 22 სწერდა: „ზოგიერთი თავების და დეტალების განვითარება ლოღიკურად არ არის დაკავშირებული ნაწარმოების მთავარ იდეასთან. თანმიმდევრობა პროზაში მთავარია. ზოგიერთი უარყოფითი ტიპები ახალ მკითხველში ხშირად სიბრალულს იწვევენ; ეს კი პირიქით უნდა ხდებოდეს".

„სალიტერატურო გაზეთ"-ში კი სწერს: „ბოლშევიკურმა გამახვილებულმა ხედვამ, პოლიტიკურმა მომზადებამ, თემატიური მასალის აქტუალობამ, ჯანსაღმა ეპოსმა და ამ ნიადაგზე სიტყვიერი მასალის ზუსტად შერჩევამ „სართულები"-ს ავტორს მისცა საშუალება ეგრძნო სოციალიზმის მშენებელთა მაჯის ცემა, მათი მოძრაობის ტემპი და მიზანი".

როგორ შევათანხმოთ ეს ორი აზრი. პირველი ციტატა ამბობს: რომანის გმირები, მავნებლები, ახალ მკითხველში სიბრალულს იწვევენო. მეორე ციტატა კი ამბობს: ბოლშევიკური სიმახვილითაა საკითხები გადაჭრილიო, რომელს დავუჯეროთ. საბოლოო დასკვნამდე სჯობს ისევ წერილების ციტატებმა იკამათონ ჟურნალ „დროშადან" და „სალიტერატურო გაზეთიდან".

პირველი ციტატა გრძელდება და ჟურნალ „დროშა"-ში ბენაშვილი ამბობს: „ლუარას შინაგანი სამყაროს მოცემისათვის არ კმარა მისი ობივატელური ბუნების გამომჟღავნება, ეს მხოლოდ ერთი მხარეა ადამიანის და არა ხასიათების კომბინაცია" (?). დ. ბენაშვილი ცოტა ზევით სწერს: „ავტორს (პ. ჩხიკვაძეს კ.მ.) ხარბად აქვს გამოყენებული კონტრასტების მეთოდი და ამიტომაც მოთხრობის სწორედ ეს მხარეა საყურადღებო". (მხოლოდ ამიტომ? კ. მ.). დ ბენაშვილის აზრით „სართულები" „კონტრასტების მეთოდითაა" (?) დაწერილი და ამითაა იგი საყურადღებო. საინტერესოა, ეს კონტრასტების მეთოდი 1930 წლიდან 1932 წლამდე იმავე ნაწარმოებში, როგორ გადაიქცა დიალექტიკურ მატერიალისტურ მეთოდათ? „სალიტერატურო გაზეთში" ვკითხულობთ:

„ლუარას (გიგაურის ცოლი), რომელსაც ფარავს ძველი ცხოვრების ძონძები, ყოველგვარი სანტიმენტალიზმის გარეშე, უპირისპირდება ბოლშევიკი გიგაური—ყოფაცხოვრების ახალი ნორმებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქალი ახერხებს გიგაურის ოჯახის გადაქცევას მტრის ბარიკადად. საკუთარი ოჯახი გიგაურისათვის იქცევა შემბორკავ ძალად, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე მის მოსპობას ცდილობს. გიგაური ებრძვის საკუთარ ოჯახს და ხშირად ეს ბრძოლა კულმინაციურ სიმაღლეს აღწევს. ამით აიხსნება, რომ გამწვავებულ ბრძოლის პროცესში გიგაური უშვებს „მემარცხენე" შეცდომებს, რაც გამოიხატება საერთოდ ოჯახის გადაფასებაში. მაგრამ ეს შეცდომები რომანის კანონზომიერი განვითარებით თანდათან სუსტდება (?) და ბოლოს სწორდება. მაგრამ თავის თავად მომენტი ბრძოლისა საყურადღებოა, არა მარტო პოლიტიკური მნიშვნელობით, არამედ მხატვრული გაფორმებითაც. ხშირად ეს ბრძოლა ისეთ გამძაფრებამდე დადის, რომ პირდაპირ ხელით ეხებით ძველი ოჯახის ნგრევის და ახალი ოჯახის შექმნის პროცესს".

განმეორებით ვაყენებთ კითხვას: რომელს დაუჯერო: ჟურნალ „დროშა"-ს, თუ „სალიტერატურო გაზეთს". „დროშა"-დან ამხ. ბენაშვილი გვატყობინებს, რომ გიგაური არაა კარგი ბოლშევიკი, არ კმარა მარტო ლუარას გამომჟღავნება და სხვა. „სალიტერატურო გაზეთში" კი ვგებულობთ, რომ გიგაური კარგი ბოლშევიკია და „ბრძოლა ისეთ გამძაფრებამდე დადის, რომ პირდაპირ ხელით ეხებით ნგრევის და ახალი ოჯახის შექმნის პროცესს".

კიდევ რამდენიმე ციტატას მოვიყვან ჟურნალ „დროშადა"-დან. „დროშა"-ში ამხ. ბენაშვილი სწერს: „სასამართლოში,—მიუხედავად მთელი რიგი კარგი სცენებისა—ადგილი აქვს გულუბრყვილობის გამომჟღავნებას ავტორის მხრივ, რაც იწვევს ფსიქოლოგიურად გაუმართლებელ სცენების ჩვენებას. მაგალითად მე-14 თავში მთლიანად ყალბადაა მოცემული სასამართლო-გამოძიების პროცესი. გამომძიებლის შეკითხვაზე მელიქოვი (კაცს, რომელსაც არ სურს ვინაობის გამომჟღავნება) უპასუხებს: „უკაცრავად. რაღაც ცუდად ვგრძნობ თავს და თუ შეიძლება შემდეგისათვის გადავდოთ დაკითხვა"', მთლიანად ყალბია და კაზიონურია ეს ადგილი, რადგანაც ეს სიტყვები მწერალს ეკუთვნის და არა მომქმედ პირს. როგორ შეიძლება ამ უბრალო შეკითხვაზე დაიბნეს ისეთი მოქნილი და გაიძვერა და მავნებელი კაცი, როგორიცაა მელიქოვი? ეს ფსიქოლოგიის ელემენტარული კანონების გაყალბებაა. ჩხიკვაძე „სართულებში" იცავს ჟარგონს, კუთხურ დიალექტს, რასაც დისჰარმონია შეაქვს მთლიანად მოთხრობაში. ჟარგონის დაცვა მხატვრულ ფაქტში—წარსულ ლიტერატურის ყველაზე ცუდი ტრადიციაა, ამიტომ პროლეტმწერალი პირველ რიგში უნდა ებრძოდეს ამ ტენდენციას. კუთხური დიალექტის ნაცვლად პროზაში და საერთოდ ხელოვნებაში უნდა გაბატონდეს პროფესიონალური ლექსიკონი, ამას მოითხოვს ენის სიწმინდე და მშრომელი ხალხის ინტერესები".

აქედან გამოდის, რომ რადგან პ. ჩხიკვაძე კუთხურ ჟარგონს იცავს და არა „პროფესიონალურ ლექსიკონს" (?) ამიტომ მისი რომანი არ ემსახურება მშრომელი ხალხის ინტერესებს. ასეთი იყო ამხ. ბენაშვილის აზრი ჩხიკვაძის „სართულებზე". ამ აზრს ბენაშვილი უფრო აღრმავებს და სწერს: „ჩხიკვაძე ხშირად მიმართავს გაზვიადებულ ჰიპერბოლას. მაგალითად: „ღამე მოკვდა ტფილისში" და სხვა. ეს ცრუ ოპტიმიზმია ყოველგვარ რეალობას მოკლებული. ავტორს აქვს ტრაფარეტული, შაბლონური სახეები. მაგალითად „მზე გადაგორდა ცხრამთას გადაღმა"—ეს ბავშური გულუბრყვილობაა. შეუძლებელია მზის არამც თუ ცხრა მთას იქით გადაგორება, არამედ ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი. ასეთ ყალბ და გაუმართლებელ სახეებთან ბრძოლა აუცილებელია. სართულებში სუსტია ქარხნის მუშათა კრების მოცემა. რა საჭიროა კრების აღწერას მწერალმა 16-17 გვერდი მოანდომო, როდესაც მისი უკეთესად მოცემა შეიძლება 2-3 გვერდზე. ბევრი „ლაილაი" და გაჭიანურებული „გალობა" პროზას ავნებს".

ასეთი იყო ბენაშვილის აზრი სართულების შესახებ 1930 წელს. ამხ. ბენაშვილი „სალიტერატურო გაზეთში" კი სწერს: „რომანში, განსაკუთრებით კარგადაა მოცემული მავნებლური ორგანიზაციის დამახასიათებელი თვისება და სასამართლოს გამოძიების პროცესი. ამგვარ დეტალებს უეჭველად აზის მხატვრული ოსტატის ხელი".

ორი, დიამეტრალურად საწინააღმდეგო შეხედულება ერთმანეთს ებრძვის.

ჩვენ ერთი წუთითაც არ გვინდა დავამციროთ „სართულების" ღირსება და მნიშვნელობა, მაგრამ არც ის არის საჭირო, რომ ხელი დავაფაროთ იმ ნაკლს და შეცდომებს, რომელიც ამ ნაწარმოებს ახასიათებს. ამას თვით ამხ. ჩხიკვაძეც არ მოუწონებს ამხ. ბენაშვილს.

შეიძლება თუ არა „სართულები" შეფასდეს ისე, როგორც ეს ამხ. ბენაშვილს ესმის? ცხადია არა. მაგალითად „სალიტერატურო გაზეთში" ბენაშვილი სწერს: „პროლეტარული ბელეტრისტების ერთი ნაწილი (პ. ჩხიკვაძე, ბ. ჩხეიძე, არ. ჩაჩიბაია) სათავეს უქმნის პროლეტარულ მხატვრულ პროზას. კერძოდ პ. ჩხიკვაძის სართულებმა ქართულ პროლეტარულ პროზაში თავისი განსაკუთრებული ეტაპი შექმნა (?). არსებითად ეს რომანი, მიუხედავად სუსტი ადგილებისა, წარმოადგენს პროლეტ. ბელეტრისტიკის თავისებურ საფუძველს, რომელმაც მომავალში უნდა გახსნას მთელი ციკლი ბოლშევიკურ პროზისა. ზოგიერთს შეიძლება ეს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ ყოველდღიურ პრაქტიკიდან და კერძოთ „სართულების" რეზონანსმა დაგვარწმუნა წამოყენებულ დებულების სისწორეში. „სართულები" პოლიტიკურ - იდეური და მხატვრული თვალსაზრისით თანამედროვე ქართულ პროზაში წინა პლანზე დგას".

გამოდის, რომ პ. ჩხიკვაძის „სართულებამდე" ჩვენ არ გვქონია პროლეტარულ ბელეტრისტიკის ნიმუშები, თურმე „სართულებმა" უნდა გახსნას მთელი ციკლი პროლეტარულ პროზისა. პროლეტარულ ბელეტრისტიკის სათავეები დიდი ხანია შექმნილია, მაშ ვინ არის ეგ. ნინოშვილი?

ამხ. ბენაშვილს თუ დავუჯერებთ 1930 წლამდე სანამ „სართულები" დაიბეჭდებოდა პროლეტარული მწერლობა სტანდარტულ მდგომარეობაში ყოფილა, უმოძრაობა და უმოქმედობა გაბატონებულა. ეს მარქსისტული აზრები არაა. არც ისაა მარქსისტული, როცა ჟურნალ „დროშა"-ში ბენაშვილი სხვას ლაპარაკობს და „სალიტერატურო გაზეთში" სხვას.

ამხ. ბენაშვილმა ვერ შეაფასა სწორად ჩხიკვაძის „სართულები". ამხ. ჩხიკვაძემ „სართულებში", მართალია, დააყენა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, მაგრამ ზოგი მათგანი მან სწორად ვერ გადასჭრა.

ყოველივე ამის შემდეგ ამხ. ბენაშვილი აცხადებს: „რომანში მოზარდი თაობის აღზრდის პრობლემა სწორადაა გადაჭრილი. საგაზეთო წერილში ძნელია ყველა იმ რთული საკითხების გარჩევა, რომელიც პ. ჩხიკვაძის „სართულებშია" დასმული და მხატვრულად გადაწყვეტილი, მაგრამ ერთი მაინც ნათელია, რომ სართულების ავტორი არა მარტო პროლეტ. პროზაში, არამედ საერთოდ ქართულ ბელეტრისტიკაში ყოველდღიური ბრძოლით იკავებს მოწინავე ადგილს და ხდება მისი ცენტრალური ფიგურა" (ხაზი ავტორისაა კ. მ.).

განა შეიძლება პროლეტ. მწერლობაში ცენტრალურ ფიგურის შესახებ ლაპარაკი? ცხადია, არა, რადგან ჩვენ ყოველდღიურად ვიზრდებით და მივდივართ წინ. თუ ჩხიკვაძის „სართულები" პროლეტ. მწერლობაში ცენტრალური ფიგურაა, მაშინ პროლეტ. მწერლობა უნდა შეჩერდეს იმ საფეხურზე, რომელზედაც დგას პანტელეიმონ ჩხიკვაძე, მაგრამ საინტერესოა ვიკითხოთ რაღ დასჭირდა დღეს ყოველივე ეს ამხ. ბენაშვილს, როდესაც ამავე საკითხზე „დროშა"-ში მოთავსებულ წერილში შემდეგს სწერდა:

„ჩვენს დროში შეუძლებელია რომელიმე მხატვრული ფაქტი გახდეს პროლეტარული ლიტერატურის განვითარების მაგისტრალურ ხაზის მაჩვენებლად, რადგანაც ამ უკანასკნელის მოვალეობას ასრულებს არა რომელიმე ავტორის კარგი ნაწარმოები, არამედ პროლეტარული რეალიზმი".

კომენტარიები ზედმეტია. ჯგუფობრივი ინტერესები აქ პირველ პლანზეა წამოყენებული. თუ ამხ. ბენაშვილის აზრს დავეთანხმებით, მაშინ ჩვენ უნდა დავაკანონოთ პროლეტმწერლობაში უმოძრაობა, სტანდარტიზაცია, პასივობა და რომელიმე მწერლის დიქტატურა. ეს ასე არც ერთ პერიოდში არ ყოფილა და არც იქნება.

რისთვის იყო, რომ მოიხსნა ლოზუნგი პროლეტარულ პოეზიის „გადემიანების" შესახებ? ამხ. ბენაშვილი ქართულ პროლეტარულ პროზაში მოითხოვს ჩხიკვაძის დაკანონებას. ვიმეორებთ, რომ ამხ. ბენაშვილს ამაში თვით პ. ჩხიკვაძეც არ დაეთანხმება.

კ. მელაძე.

ილო. მოსაშვილი

მინდვრები მეძახიან პოეტს

ქალბატონივით დაბრძანდებოდა
ველზე გვირილა,
ცის საბუდარში
გულყვითელა ჰფანტავდა კვერცხებს.
ე ცოდა დაბრუნება
რმის ყვირილმა
როს გაზაფხული
მოჰყავდათ მერცხლებს!

ილავ, რამდენი
სიხარულით გადაგივლია.
მთიდან გჩვეოდა
გადმოფრენა ხოხბის ლაპრივით,
ოს ალუბალზე
ოგორც ნიბლია
შემოჯდებოდა
თეთრი აპრილი.

დღესაც მოფრინდა გაზაფხული
და მის წინაშე
ვდგევარ უცნობი, აღარ რეკავს
ყიდან გუგული.
სმის მინდორში
სმის ბინაში:
ოლტის რკინაში დამწყვდეული
ულის გუგუნი...
და დაღესტნიდან გადმოვარდნილ
თის არწივივით,
ედება მინდვრებს
მანქანების ფრთების წივილი.

—:—

დამისხით ნავთი!—
იძახის რკინა.
რკინასაც უნდა:
თავის გულის ჯავრი მოლიოს.
რკინას უნავთოდ
სახსრები სტკივა,
რომ დაიძრას და
თან გუთანი გაიყოლიოს.

დაუსხით ნავთი,
მეგობრებო, ეგეც კაცია,
აქვს მართლა გული,
მე ყურს ვუგდებ ამ გულის ფეთქვას,
აქვს მართლა გული,
თუმც გარედან რკინა აცვია
და სირცხვილია
უარი ეთქვას.

დაუსხით ნავთი, მეგობრებო, ეგაც კაცია,
რომ სიხარულით მოეხვიოს
თვითეულ ჰექტარს!

—:—

—ძმაო პოეტო,
ქალაქიდან ლექსებს რომ გვესვრი,
აქ მოდი ჩვენთან,
გახდი ჩვენი შრომის ნაცვალი.
ვინ იცის - შენ რომ
ჩააგდო თესლი,
თაფლისა ჰქონდეს
თავთავს მარცვალი.

აქ მოდი ჩვენთან,—
მეძახიან ერთხმად მინდვრები...
მოვდივარ ძმებო,
ძველი სევდა გულს არ მიღონებს.
ეხლა დაბრუნდა
მზის ამინდები,
და ყვავილების სისხლით დავწერ
ახალ სტრიქონებს.

ცელი ბალახებს!
არსად დარჩეს თესლად გვირილა!
შემოვახიოთ გაშლილ ველებს
მწვანე ჯეჯიმი;
შეძრას ხნულები
სტალინგრადელ ხარის ყვირილმა
და დასცეს მიწა
მკერდგაგლეჯილი.

აი მოვდივარ,
დღეს ლექსები თქვენზე გავცვალე.
აი მოვდივარ.
თქვენს სიმღერეს ვერ გაუძელი,
რომ ყოველ ბუჩქზე
ჩვენი ოფლის წმინდა მარცვალი
ეკიდოს როგორც
ვაზზე ყურძენი.

მოვდივარ ძმებო,
ქალაქს იქით ყველგან ხნულია
და ჩემი გული
ეხლა მერცხლის გულივით ფეთქავს,
რომ საცა შრომის
გაზაფხულია -
დედის მკერდივით
მოეხვიოს თვითეულ ჰექტარს.

მარტი.

საჯარო ბიბლიოთეკაში

საჯარო ბიბლიოთეკაში 4 მაისს შესდგა — 25 თებერვლის სახელობის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ერთი წლის არსებობის და ბეჭდვითი სიტყვას 20 წლის თავის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა.

ამ დღის მნიშვნელობისა და ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბიბლიოთეკის დირექტორი ამხ. **ს. ეული** — სახ. საჯარო ბიბლიოთეკამ თავისი არსებობის უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, — ამბობს მოხსენებელი. ბიბლიოთეკა არსებობდა 1918 წლიდან — სხვადასხვა სახელწოდებით, მაგრამ იგი მთლიანად ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას. იგი წარმოადგენდა ბიბლიოთეკას, მხოლოდ ფორმალურად, სადაც თავმოყრილი იყო [illegible] მასისათვის მიუწვდომელი წიგნი. ამჟამად ბიბლიოთეკა აწარმოებს არა მარტო ტეხნიკურ ხასიათის მუშაობას, არამედ სპეციალურ მეცნიერულ მუშაობასაც. მასთან არსებობს სხვადასხვა სექტორები: — ბიბლიოგრაფიული, დამმუშავებელი, კომპლექტების და სხ. გახსნილი სხვადასხვა სპეციალურ დარგების კაბინეთები: მარქს-ლენინიზმის, ეკონომიკის და ინდუსტრიალურ - ტეხნიკური. ამასთანავე არსებობს ბიბლიოთეკათ-მცოდნეობის კაბინეტი.

ბიბლიოთეკას აქვს აღებული სწორი ბოლშევიკური ხაზი, რაც უზრუნველყოფს სათანადო კადრების აღზრდას მომავალ წარმატებისათვის.

თანამოხსენებით გამოვიდა ბიბ-კის მსწავლული მდივანი **ნ. ლორთქიფანიძე.** — მისასალმებელი სიტყვებით — საბჭოთა მწერლების ფედერაციის სახელით **ბ. ჟღენტი, ნოე ზომლეთელი,** საშეფო სოფლიდან ჩამოსული მეურნე გლეხი **პაპუჩელაშვილი,** კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის სახელით ამხ. **გოზალიშვილი,** საშეფოს ტამბიდან ამხ. **შპაგინი,** წიგნის პალატიდან **ბერძენიშვილი,** და მეცნიერების მუშაკთა სექციის სახელით პროფ. **გ. ახვლედიანი,** რომელმაც აღნიშნა სამეცნიერო მუშაობის გაღრმავების აუცილებლობის საჭიროება უახლოეს დროის განმავლობაში, ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგში.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ ჩატარდა კონცერტი ოპერის საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

შ.—გლი, ი. ტ—ი.

უცხოელი კინო-რეჟისორები საბჭოთა კავშირში

ამჟამად საბჭოთა კავშირში მუშაობენ [illegible] უცხოელი კინო-რეჟისორები: [illegible] **იუნხასი, ბელა ბალაში, ერვინ პისკატორი და იორის ივენსი.**

გერმანელი რეჟისორი **კარლ იუნგხანსი** „მეჟრაპრომ-ფილ"-მისათვის იღებს მხატვრულ სურათს „შავები და თეთრები". ფილმის ძირითადი იდეაა—შავი და თეთრი პროლეტარიატის ბრძოლა მთლიანი ფრონტისათვის ამერიკის პირობებში. სურათი მზადდება სამ ვარიანტად: რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. სამონტაჟო სცენარის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირში ჩამოვა ზანგთა ჯგუფი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სურათის გადაღებაში. სურათის გადაღება იწარმოებს მოსკოვში და სოხუმში.

უნგრელი რეჟისორი **ბელა ბალაში** მუშაობს სცენარზე—„ტისა იწვის". სცენარის საფუძვლად უდევს ბელა ილეშის იმავე სახელწოდების რომანი. ფილმი მზად იქნება ოქტომბრის 15 წლის თავისათვის. ფილმის ძირითადი იდეაა—უნგრეთის რევოლუციის და იმ შეცდომის ჩვენება, რომელიც დაუშვა უნგრეთის კომპარტიამ სოციალ-დემოკრატებთან გაერთიანებით.

ცნობილი გერმანელი რეჟისორი, გერმანიის რევოლუციონური თეატრის შემქმნელი **ერვინ პისკატორი** მუშაობს „მეთევზეების აჯანყება"-ზე. ეს მისი პირველი ნაბიჯია კინოში. ფილმის ძირითადი იდეაა —წვრილი მეთევზეების გაერთიანების აუცილებლობა. ფილმი იღება გერმანულ მასალაზე და თემის მიხედვით განსაკუთრებით საინტერესოა სწორედ გერმანიისათვის, სურათში მონაწილეობენ რუსის აქტიორები. სურათი მზად იქნება მიმდინარე წლის ოქტომბერში.

ჰოლანდიაში რეჟისორი **იორის ივენსი** ამზადებს დოკუმენტალურ ფილმს—„კომკავშირი". სურათი მიზნად ისახავს კომკავშირის ჩვენებას სოციალისტური მშენებლობის ყველა მოწინავე უბნებზე. სურათი გადაღებული იქნება მაგნიტოგორსკში, კუზბასში, ლენინგრადში, მოსკოვში.

ნიკო ლორთქიფანიძე

ბოგანოს დღიურიდან

(შემთხვევა უცხოეთის ერთ-ერთ გაზეთის რედაქციაში)

სიმშილი დიდხანს მაწუხებდა, დაღვრემილი ვიყავი. ბოლოს გავიფიქრე დამეწერა რამდენიმე იუმორისტული მოთხრობა. ამაზე ადვილი არაფერია. ავიღებ ყოველდღიურ გათელილ თემას, რომელიც არ შეურაცხყოფს ადამ[illegible] შეიმოსავ უბადრუკობით, სწორედ ისე, როგორც დედოფალს მორთავენ ჭინჭებით. ეს შეურაცხყოფს ადამიანთა სისულელეს, და ჩემი საქონელი იღლიაში ამოვიდევი და დავიწყე მრეწველის ძებნა.

მალე მოვნახე. . . „ხელოვნების გაყიდვა ნარდად, წლიურის, მეოთხედი წლის, თვიურის ხელისმოწერით, და აგრეთვე ცალკე ნომრობით".

დავრეკე.

— რედაქტორი ბრძანდებით?

— დიახ.

— შეიძლება აქ რამდენიმე დღის სარჩოს მიღება.

—როგორ, ისე უფასოდ?

— ჰო, არა. — გასაყიდათ მოვიტანე ჩემი სულის ნაგლეჯი.

— მაჩვენეთ.

ხელთნაწერს დაუწყო კითხვა.

— კ... კარგია, კარგი!.. ჰა, ჰა, ჰა:::ჰა, ჰა, ჰა...

მაშინ გადავწყვიტე მართლაც შემექნა იუმორისტული რამ.

— რედაქტორო, — მივმართე მე—თქვენის აზრით მაქვს ტალანტი?

რედაქტორმა მხრები აიჩეჩა.

— ტალანტი? ნამდვილი ხელოვნებისათვის რა საჭიროა ტალანტი?

რედაქტორი ყურადღებით მათვალიერებდა, ხუჭავდა თვალს და, თითქოს რაღაცა აღმოაჩინაო, უეცრად წამოიძახა:

— ეს რაა? თქვენ ყელსახვევი არა გაქვთ, როგორ შეიძლება ადამიანი ხელოვანი იყოს, და ყელსახვევი კი არა ჰქონდეს.

— სრულიად ადვილად, ბ-ნო რედაქტორო. ყელსახვევს მოიხსნიან, დააგდებენ იატაკზე მეტი არაფერი...

— მესმის, მაგრამ ასე გატიტვლებული სეირნობა?!. ხელოვნების ტაძარში ფეხშიშველი არ შედიან.

— მეფის მოსასხამი მეხურა, ბატონო რედაქტორო, მაგრამ წინა ოთახში ყარდა: ქურუმები მწვადს სწვავდნენ; ქვევით ტახი იყო და ზევით კვამლი... მოსასხამი შემენანა.

— და თქვენ ყელსახვევი მოიხსენით? ასეა ხომ?

— დიახ, ბატონო რედაქტორო, და ეხლა მე შემომქმედი ვარ უყელსახვევოდ. მე თან დამაქვს მთელი ზღვა ცრემლებისა, გოდებისა, პატიებისა და ლექსებისა, და არც ერთს არა აქვს ყელსახვევი.

— მე მაინც გირჩევდით აგეღოთ ცეკვის რამოდენიმე გაკვეთილი და ჩაგეცვათ თქვენი აზრებისათვის ხელთათმანი — მაშინვე უფრო ძვირფასი გახდებოდით. დღეს კი, სამწუხაროდ, მე იძულებული ვარ სტრიქონში ერთი კაპეიკით ნაკლები მოგცეთ. კარგად მოიფიქრეთ ჩემი სიტყვები. მე უკვე აღვზარდე ხელოვნების მთელი თაობა...

— კარგად ცეკვავენ?

— ხელოვნებათა ისტორია ამაზე უკვე ლაპარაკობს.

— ვსწუხვარ, რომ არ შემისწავლია.

— არაფერია, თქვენც მოესწრებით. სამწუხარო იქნებოდა, რომ ამ დახეულ წაღებში დარჩენილიყავით. თქვენ შეგიძლიათ საუცხოვოთ გვეთვალთმაქცოთ ყოველგვარ ზნეობაზე. დამეთანხმებით, რომ შეუძლებელია კრივში გამოიწვიო მთელი ქვეყანა. გაგწეწენ! გესმით? გაგწეწენ! ძალა აქვთ, ღონე შესწევთ!.

— და სადღაა სულის დამოუკიდებლობა, ბ-ნო რედაქტორო, „დავლეწოთ ციხე წყვდიადისა", „გავსრისოთ ძლიერება თუ იგი დამპალია".

რედაქტორი მოიღუშა. დიდი თავი უძრავად ესვენა სავარძელში, და თვალები თითქოს მისჩერებოდა აჩრდილს.

— დიახ, დიახ. „დალეწო", „გასრისო"— ყველაფერი ეს მოითხოვს დიდ შრომას, უნდა გადიკაპიწო სახელოები და აზრის ისრები გასტყორცნო ცხრამთას იქეთ. და გცემენ მაინც. განა უკეთესი არ არის, შეიძინო ადამიანთა პატივისცემა და მშვიდი კეთილი ცხოვრება? ეს არც ისე ძნელია, საჭიროა მხოლოდ ქედის მოხრა იქ, სადაც მოითხოვს გარემოება, და მაშინ შენ თვით დასცემ. თქვენ არასდროს არ გყოლიათ დაქირავებული საყვარელი?

— არა, ბატონო რედაქტორო.

— კიდეც ეტყობა თქვენს ლაპარაკს... და რედაქტორის სავარძელიც არ გქონიათ თეატრში? მართლა? ახლა ხომ მიხვდით, რაც გიშლიდათ ხელს? ახალი წაღების უქონლობა! ჯერ-ჯერობით იყიდეთ წაღები. აი ჰონორარი. დანარჩენი თავისთავად მოხდება.

მე დავიხარე მისი ყურებისაკენ და ჩავუფუჩუნე:

— მე ვიცი უფრო ადვილი გზა.

განცვიფრდა.

— თქვენ?

— დიახ, მე მაქვს სარეკომენდაციო წერილი ხელოვნების მფარველთა კოლეგიისაგან.

დაფრთხა თურაჯივით.

— ნუთუ? დაჯექი მეგობარო. მიირთვით კონიაკი... არაფერი არ აჯანსაღებს სულს, როგორც მონათესავე სულთა ბაასი. მე შეგიყვანთ გამომცემელთან. კარგი? აიღეთ ჩემი სავარცხელი და გადივარცხნეთ თმა. მე თავიდანვე მიხვდი, რომ თქვენ გენიოსი ხართ. ნებას მიბოძებთ წავიკითხო წერილი?

წერილი ჯიბიდან ამოვიღე და დაუწყე წეწვა და ხევა. რედაქტორი კი დაფორთხავდა იატაკზე, ხვნეშოდა და აგროვებდა წერილის ნაგლეჯებს.

— ღმერთო, რა გამასხარავებაა! სარეკომენდაციო წერილი!.. გიჟია!... თავის მკვლელი!.

შემრცხვა

როცა დავინახე, რომ ეს კაცი ქვეშ იატაკზე ფორთხავს და ხელს ისვრის ლანჩების მტვერში, მე მხარზე მოვკიდე ხელი და დაუყვირე:

— ბ-ნო რედაქტორო, ეს ფიქციაა! წერილი მრეცხავმა ქალმა მომწერა — იგი მექადება, თუ არ გადამიხდით ორი პერანგის გასარეცხსო...

რედაქტორი დაიღალა. მისი თვალები აფრქვევდენ რისხვის ცეცხლს.

— რა სისულელეა, დასწყევლოს ღმერთმა! წინათ ამბობდით სიცრუეს თუ ტყლა?

შემეცოდა და უპასუხე.

— მე მუდამ ვამბობ სიცრუესა და სიმართლეს — ორივეს ერთდაიმავე დროს.

თაგმანი

ს. ხუნდაძე

ეგნატე ნინოშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა

(მისი ნაწერების მე-IV აკადემიური გამოცემის გამო)

ამჟამად გამომცემლობა „ფედერაცია" ბეჭდავს ეგ. ნინოშვილის ნაწერების სრულ კრებულს. **პირველი ტომი** უკვე დაბეჭდილია და ამ დღეებში გამოვა გასასყიდლად; **მეორე ტომი** იბეჭდება და ივნისის თვეში გამოვა; ხოლო მესამე ტომი სექტემბერში გამოვა.

ამ წერილის მიზანია წინასწარ მიაწოდოს ცნობები მკითხველ საზოგადოებას ეგ. ნინოშვილის ამ ახალი გამოცემის შესახებ.

დღემდე ჩვენ ეგ. ნინოშვილის სრული ნაწერების სამი გამოცემა გვქონდა: 1) კ. თავართქილაძისა—ერთ ტომად, 1904 წ, 2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა—სამ ტომად 1920 წ.; და 3) სახელგამისა — ორ ტომად 1925 წ.

არის კიდევ ერთი გამოცემა კ. თავართქილაძისა.

ეს გამოცემა მით არის საინტერესო, რომ თვით ავტორის უშუალო ხელმძღვანელობითა და რედაქციით დაიბეჭდა და ამიტომ მას შეუძლია პირველი წყაროს როლი ითამაშოს. მაგრამ იგი მაინც სრულ ნაწერების კრებულს არ წარმოადგენს იმიტომ, რომ ამ გამოცემაში მოთავსებულია 1892 წლამდე დაწერილი მოთხრობები.

რაც შეეხება სამს ზემოდ დასახელებულ გამოცემას, მათ სხვა მრავალ შეცდომებთან ერთად ახასიათებს სამი მეტად დიდი ნაკლი:

ტექსტების დადგენის საქმე

ყველა ამ გამოცემებში ნაწერები მექანიკურად არის გადმოწერილი (თუ გადმობეჭდილი) წყაროებიდან და „ბევრს შემთხვევაში დედანი დამახინჯებულია". „რედაქტორებს" არ უზრუნვიათ დაეხედათ თვით ნინოშვილის ხელნაწერი დედნები, შეედარებიათ პირველი წყაროები და სხვადასხვა გამოცემანი ერთმანეთისათვის და ერთხელ და საბოლოოდ დაედგინათ ტექსტი თვით ეგ. ნინოშვილის სტილისა, მართლწერისა და საერთოდ დედნის მიხედვით. როგორც ცნობილია, აკადემიურ გამოცემაში მთავარი და ძირეული ტექსტის დადგენაა: **რედაქტორმა უნდა აღადგინოს ტექსტი იმ სახით, როგორც იგი თვით ავტორის ხელიდან არის გამოსული და თუ რაიმე შესწორება შეაქვს შიგ—ეს უნდა აღინიშნოს შენიშვნები.** ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ზემოდ დასახელებულ გამოცემებს, ისინი ყოველგვარ კრიტიკის გარეშე სდგანან. კ. თავართქილაძის 1904 წელს ერთტომიანი გამოცემა მოკლებულია რაიმე აკადემიურ ღირებულებას, იგი მექანიკურად არის **ამოჭრილი** ძველ გამოცემებიდან და შემდეგ დაბეჭდილი. ტექსტის მეცნიერული დადგენისათვის გამომცემელს არ უზრუნვია; მის ხელთ არ ყოფილა არც ერთი დედანი, გარდა „ჯანყი გურიისა". 1920 წლის გამოცემა **მექანიკურად არის გადატანილი სრულიად უცვლელად 1904 წლის გამოცემიდან.** სახელგამის 1925 წლის გამოცემა ამ მხრივ არ განსხვავდება 1904 წლის გამოცემისაგან. ამ გამოცემაშიაც ტექსტი პირდაპირ გადმობეჭდილია 1904 და 1920 წლების გამოცემებისაგან. რედაქტორებს ნაკლებად უზრუნვიათ ტექსტის ე. ნინოშვილის დედნის მიხედვით დადგენისათვის. აღსანიშნავია, რომ ის კორექტურული შეცდომები, რომელიც დაუშვია თავების დაყოფაში (მოთხრობა „ცოლი და ქმარი") 1920 წლის გამოცემას, მექანიკურად განმეორებულია სახელგამის გამოცემაშიაც. მაგრამ ეს გამოცემა მაინც დასცილებია რამოდენიმე „მექანიზმს". საქმე ის არის, რომ რედაქციას ნაკლებად უზრუნვია, უკეთ, **სრულიად არ უზრუნვია ტექსტის ნინოშვილის დედნის მიხედვით დადგენისათვის, სამაგიეროდ თვით ნინოშვილის სტილი და მართლწერა უსწორებიათ თავისი გემოვნებისა და შეხედულებათა მიხედვით.** გარდა ამისა, გამოუტოვებია ყველა ის შენიშვნები რომელიც ე. ნინოშვილს ქონდა გაკეთებული თავის მოთხრობებში გურული სიტყვების ახსნის მიზნით. ამიტომ ეს გამოცემა ტექსტის დადგენის თვალსაზრისით უფრო დასცილდა პირველ წყაროებს, და ეს გამოცემა არას შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს აკადემიურ გამოცემად.

რასაკვირველია, ამ საგაზეთო წერილში ძნელი არის ყველა იმ ნაკლთა აღნიშვნა, ტექსტების დადგენის თვალსაზრისით, რომელიც ახასიათებს სამს ზემოაღნიშნულ გამოცემას. ჩვენ აქ მხოლოდ ზოგადად აღვნიშნეთ მთავარი ნაკლი. მკითხველმა რომ სწორი წარმოდგენა იქონიოს ამ გამოცემათა შესახებ, საილიუსტრაციოთ ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთს ფაქტს: ეგ. ნინოშვილის ცნობილი პუბლიცისტური წერილი „**ძველი დავა ახალ ქერქში**" ყველა ზემოაღნიშნულ გამოცემაში დაბეჭდილია სამი გვერდის გამოკლებით. ეს შეცდომა შედეგია სწორედ იმ მექანიკური მეთოდისა, რომლითაც მუშავდებოდა ეგ. ნინოშვილის ტექსტები; პირველად 1893 წელს „კვალმა" ეს წერილი დაბეჭდა გვერდების არევით: პირველად დაიბეჭდა მეხუთე გვერდი კვალისა, ხოლო შემდეგ—მეოთხე. (იხ. „კვალი" № 32, 1893 წ.). 1904 წ. მექანიკურად გადმოიბეჭდა ეს წერილი „კვალიდან" მთელი მეოთხე გვერდის გამოტოვებით („კვალის" ერთი გვერდი უდრის წიგნის სამს გვერდს). მაგრამ იქ, სადაც „კვალის" მესამე გვერდისა და მეხუთე გვერდის ტექსტები ერთმანეთს არ მიუდგა—რედაქტორის კალამი ამეტყველდა და ამრიგად „დადგინდა" ჩვენი მწერლის პირველი სერიოზული პუბლიცისტური წერილის ტექსტი. ასე მექანიკურად დადგენილ ტექსტიდან უფრო ადვილი შეიქნა მექანიკურადვე გადაბეჭდვა 1920 წ. და 1925 წ. გამოცემებში. ამ რიგად ეს წერილი დამახინჯებულათ იბეჭდებოდა მთელი 40 წლის განმავლობაში (ამ გარემოებას ჯერ კიდევ 1927 წელს მივაქციე წერილობით საზოგადოების ყურადღება). და ეს იყო შედეგი იმისა, რომ არავინ არ ცდილა ეგ. ნინოშვილის ტექსტები მეცნიერულად შეესწავლა და დაედგინა; გამოცემების დროს რედაქტორის ხელი და მაკრატელი უფრო დიდ როლს თამაშობდა, ვინემ რედაქტორების თავი და კალამი.

რასაკვირველია, ახალ აკადემიურ გამოცემაში ყოველივე ეს ნაკლი აცილებულია იმდენად, რამდენადაც ამის ტექნიკური შესაძლებლობა არსებობდა. როგორც მკითხველიც მიხვდებოდა, პირველი და არსებითი მნიშვნელობა ტექსტების მეცნიერულად დადგენის დროს აქვს თვით ავტორის ხელნაწერ დედნებს. ჩვენდა **სამწუხაროდ,** დიდი უმეტესი ნაწილი ეგნატეს ხელნაწერებისა დაღუპულია. დაღუპულია არა მარტო დაბეჭდილი ნაწერების, არამედ დაუბეჭდავი, ხელნაწერად დარჩენილი დედნებიც. ეს მეტის მეტად სავალალო და სამწუხარო გარემოებაა.

ტექსტებზე მუშაობის დროს რედაქტორის განკარგულებაში იყო სამი **ნაწარმოების** დედანი და 35-დე ეგნატე ნინოშვილის ხელით დაწერილი კერძო წერილი. ნაწერებია: 1) გოგია უიშვილის პირველი ვარიანტი. „**სახალწლო პურ-ღვინოს**" დედანი. ეს ვარიანტი დაწერილი იყო 1889 წ., ხოლო დაიბეჭდა „თეატრში" 1890 წ. სრული და არა პირველი ნაწილი, როგორც დღემდე სწერდნენ (იხ. „თეატრი", № 10, 12, 1890 წ.). დედანის მხოლოდ ექვსი გვერდია გადარჩენილი და იგიც ნასწორებია „თეატრის" რედაქციის მიერ. 2) „სამასო"—პუბლიცისტური ხასიათის წერილი 1892 წლისა, რომლის დაბეჭდვა უცდია „კვალს" 1901 წელს, მაგრამ ცენზურას აუკრძალავს; 3) „**პარტახი**", რომელიც დაწერილია 1892 წელს და რომელიც დაიბეჭდა 1894-95 წლების „კვალში" ავტორის გარდაცვალების შემდეგ. ეს დედანი აღმოჩნდა საქართველოს მუზეუმში (გარდა ამისა, იქ აღმოჩნდა კიდევ ერთი კერძო წერილი 1888 წლისა). დედანი მეტის-მეტად საინტერესოა. თვით ნაწარმოების ტექსტის დასადგენად და მისი თავგადასავალის შესასწავლად. დედანს რაჟ. კალაძის ხელით მიწერილი აქვს გვერდებზე შენიშვნები, ხოლო თვით დედანი ნასწორებია **გ. წერეთლის** ხელით. გ. წერეთელს დედნიდან რამოდენიმე ადგილი ამოუშლია, ხოლო რამოდენიმე თავისებურად შეუსწორებია და რამოდენიმე ადგილიც გადაუსვ-გადმოუსვამს*). როგორც დედნის ისტორიიდან და კერძო წერილებიდან ირკვევა, ეგნატეს მოუნდომებია „პარტახის" ტექსტის გადაკეთება, იგი ამაზე მუშაობდა სიკვდილის წინა დღეებში, მაგრამ დამთავრება ვერ მოუსწრია. ამ მუშაობის შედეგია დაუმთავრებელი „**ცოლი და ქმარი**", რომელიც სრულიად დამოუკიდებელი მოთხრობის ხასიათს ატარებს. საინტერესოა ს. ჯიბლაძის კერძო წერილი ანასტასია წერეთლისადმი 1894 წლის 25 აპრილის თარიღით, რომელშიაც ეხება ეგნატეს მუშაობას ახალ მოთხრობაზე.

> „ეგნატე ახლა სოფელშია. აქ არჩია დალიოს უკანასკნელი დღეები თავისი მწარე სიცოცხლისა. თუთხმეტი დღეა, რაც დავსტირი მის აუტანელ ტანჯვას. ბათუმის ექიმების სიტყვით ის ამ გაზაფხულს ვერ გადიტანს. მადა სულ დაეკარგა, ხმა მიუწყდა, ლოგინიდან ადგომა სრულებით არ შეუძლია. მიუხედავად ამისა, როცა უკეთ იგრძნობს თავს, ცდილობს განაგრძოს თავისი ახალი მოთხრობა „პარტახი". მაგრამ ამაოდ. კალამი ხელიდან უვარდება და საშინელი აღელვებული იწყებს ცურვას თავისი მწარე ოფლში. აგრე ლევს სულს ეგ კეთილშობილი ადამიანი".

რასაკვირველია, „პარტახი" ახალს გამოცემაში იბეჭდება ეგნატეს ხელნაწერის მიხედვით ხოლო შენიშვნებში ნაჩვენები იქნება ყველა ის ცვლილებანი, რომელიც მასში შეუტანია გ. წერეთელს.

რაც შეეხება კერძო წერილებს—ისიც დაიბეჭდება სრულიად უცვლელად ეგნატეს დედნების მიხედვით და სათანადო შენიშვნებით.

გარდა აღნიშნული დედნებისა, რედაქტორის განკარგულებაში სხვა დედნები არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ გადასინჯულ იქნა საცენზურო კომიტეტის არქივი, ტფილისისა და ქუთაისის მუზეუმი**). ცალკე პირების (გ. წერეთლის და აკ. წერეთლის, ი. გოგებაშვილის და სხვ.) არქივები,—იქ ნინოშვილის ნაწერების დედნები არ აღმოჩნდა.

ამიტომ პირველ წყაროებად დედნების დადგენის დროს რედაქციის მიერ მიჩნეული იქნა **პირველი ნაბეჭდი ტექსტი.**

შეგროვილია ცალკე მოთხრობების ყველა ცალკე ნაბეჭდები და გამოცემანი. ზოგი თვით ეგნატეს ხელმძღვანელობით გამოცემული; დალაგებულია ერთმანეთთან და აღნიშნული შენიშვნებში ყველა ის ცვლილებანი, რომელიც დროთა განმავლობაში ტექსტს განუცდია სხვადასხვა გარემოებათა გამო.

აღსანიშნავია, მაგალითად, რომ 1894 წ. „კვალში" დაბეჭდილი „ჩვენი ქვეყნის რაინდის" ტექსტი რამდენადმე განსხვავდება 1896 წელს ბათომში გამოცემულ ტექსტისაგან. ეს აიხსნება იმ გარემოებით რომ 1894 წელს ეგნატემ მოასწრო „კვალში" ნაბეჭდი ტექსტის შესწორება და გადმოუგზავნა იმავე წელს გამოსაცემად ი. გოგებაშვილს. ნინოშვილის მიერ შესწორებული ტექსტი გადაეცა ი. გოგებაშვილს 1896 წ. ბათომის გამომცემლობისათვის.

ამრიგად, როგორც მკითხველი ხედავს, ნინოშვილის ნაწერების ამ ახალ გამოცემაში მოცემულია პირველი ცდა ტექსტების მეცნიერული დადგენისა.

მასალების შეგროვების საქმე.

ყოველი აკადემიური გამოცემის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას ის შეადგენს, რომ მასში მოცემული უნდა იყოს **მწერლის ნაწერების სრული კრებული.** ამ თვალსაზრისითაც თუ განვიხილვთ ზემოდ დასახელებულ გამოცემებს—დავინახავთ, რომ ისინი **სრული არ არის.** ამას თავისი მიზეზი აქვს და ამას ახსნა ესაჭიროება.

ცნობილია, რომ ეგ. ნინოშვილს დიდძალი ხელნაწერები და დოკუმენტები დარჩა. 1901 წელს „კვალი" ერთს თავის შენიშვნაში სწერდა:

„ეგნატე ნინოშვილს დარჩა მრავალი ხელნაწერები; ამათში უმთავრესად დაუსრულებელი მოთხრობები და სურათებია. დასრულებულია ორი: „**სოფლის გმირები**". რომელსაც მეორე სახელათ „პატარა სურათი" აწერია, და ერთი დიდი ისტორიული რომანი „**სამწუხარო შედეგი**". ყველა ეს ჩვენ იმდენად საინტერესოთ მიგვაჩნია, რომ გადავწყვიტეთ „კვალში" დავბეჭდოთ" (იხ. „კვალი" № 5 1901).

მართლაც, 1901 წლიდან შეუდგნენ ეგ. ნინოშვილის გამოუქვეყნებელი მოთხრობების ბეჭდვას „კვალში". 1901 წ. გამოაქვეყნეს „**სოფლის გმირები**" (იხ. № 5), და „ცოლი და ქმარი" (იხ. № 6 7, 8, 9, 10 და შემდეგი). 1902 წ. დაიბეჭდა ისტორიული რომანის „**სამწუხარო შედეგის**" ხუთი თავი, დანარჩენი ცენზორმა აკრძალა. 1901 წელს უცდიდით გამოექვეყნებიათ ერთი პუბლიცისტური ხასიათის წერილი „**სამასო**", რომელიც ცენზორს აუკრძალავს (იხ. 1901 წ. „საცენზორო კომიტეტის არქივის 1894-95 წლებში გ. წერეთელმა გამოაქვეყნა „**პარტახი**".

მაგრამ ეგნატეს ნაწერების სია მარტო ამით არ ამოიწურებოდა. ჩვენ ვიცით, რომ 1888 წელს მან გაუგზავნა „ივერიას" თავისი მოთხრობა „ღვი...", რომელიც „**ჩაფლულის წყალს გააყოლეს**" ე. ი. არ დაბეჭდეს (იხ. მისი წერილი ალ. ბარამიძისადმი); ვიცით აგრეთვე, რომ მას დარჩა დაუმთავრებელი მოთხრობა **ბათომის მუშათა ცხოვრებიდან.** 1895 წ. გ. წერეთელმა ეგნატეს ბიოგრაფიაში მოიყვანა ერთი პატარა ადგილი ამ „მოუთავებელ მოთხრობიდან", აი ეს ნაწილიც:

„ქ. ბათომის ერთს მხარეს ნავთის ქარხნების ზემოთ მინდორზე ერთმანეთში უხეიროთ არეულ-აჩხირულან ფიცრული ფარღალალა შენობები, რომელთაც ქოხები უფრო შეეფერება სახელათ, მინამ სახლები. გარშემო ამ შენობებს მუდამ ტლაპო ტალახი ადგია. მისავალი გზები ისეთია, რომ წვიმების დროს დიდი სიფრთხილე გჭირია, ტლახში არ შთაინთქა. ქაობები, რომლებითაც მდიდარია ეს კუთხე, გაღენთილია უწმინდურობით. მათი ანადენი ორთქლი სწამლავს ჰაერს და ისეთი საძაგელი სუნია დამდგარი, რომ სუფთა ჰაერზე შეჩვეულ ადამიანს ცხვირ-აუხვევლად არ შეუძლია გავლა. შენობები უბუხროა. თითო ოთახს თითო პაწია სარკმელი აქვს და ამიტომ ოთახში მზიან დღესაც კი ბნელა. მართალია ოთახს საკმაოდ აქვს ჭერიტინები. მაგრამ იმათში ქარი უფრო ღონივრად შედის, ვიდრე სინათლე, აი, ეს შენობები არის თავშესაფარი იმ რამდენიმე ათასი მუშისა, რომელნიც მუშაობენ ბათომის ქარხნებში. ამ ვიწრო და ნამიან ოთახებში ბინადრობს ათი-თორმეტი კაცი ერთად თითო ოთახში" (იხ. ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა" გვ. მე-8. 1895 წ.).

დანარჩენი ნაწილი ამ მოთხრობისა დაკარგულია. მაშასადამე დაკარგულია აგრეთვე მრავალი დაუსრულებელი მოთხრობები და სურათები, რომელთა შესახებაც სწერდა „კვალი" 1901 წელს.

დაკარგულია აგრეთვე „**ძველი სამახსოვრო წიგნები**", რომელთაც დღიურის სახით იწერდა თურმე ეგნატე.

დაკარგულია აგრეთვე დიდი ნაწილი ეგნატეს წერილების. როგორც სჩანს, ერთ დროს ეს წერილების ნაწილი შეუგროვებიათ. მაგრამ შემდეგ დაღუპულა. ერთი უცნობი ავტორი 1914 წელში სწერდა:

„...ეგნატეს კერძო წერილები, ამხანაგებთან და მეგობრებთან მიწერ-მოწერა, რომელშიაც ნათლად გამოსჭვივოდა როგორც ამ დიდებული ადამიანის სპეტაკი სული, ისე ის საქმე, რომელსაც ისა და მისი ამხანაგები ისახავდნენ ცხოვრების მიზნათ,— **დაიკარგა**" (იხ. წიგნაკი: „ეგნატე ნინოშვილი—ინგოროყვა". გვ. 4. 1894), მაგრამ არა მარტო ეს შეგროვილი წერილები და დოკუმენტებია დაკარგული. არამედ დაკარგულია დიდი ნაწილი იმ წერილებისაც, რომელნიც ცალკე პირების ხელში ოჯახებში ინახებოდა.

დაკარგულია ერთი მისი ვრცელი და საინტერესო პუბლიცისტური წერილი, „**ძველი, თუ ახალი**", რომელიც 1893 წლის მიწურულში დაუწერია და გაუგზავნია „კვალში" დასაბეჭდათ. ამ წერილის შესახებ ჩვენ საინტერესო ცნობები გვაქვს, როგორც მის კერძო წერილებში, ისე სხვების წერილებში. მაგ. ეგნატე 1893 წ. დეკემბერში სწერს გ. წერეთელს:

„... გიგზავნით ცალკე ბანდეროლით სტატიას „ძველი თუ ახალი". ეს სტატია, ჩემი ფიქრით, ყველა აქამდე ჩემ სტატიებს სჯობია. ამიტომ გთხოვთ, თუ შესაძლებელია, შეუმოკლებლად დაიბეჭდოს.... რაც შეეხება რუსულ და ფრანგულ ციტატებს, პირველი არის ამოღებული ნ. ჩერნიშევსკის სტატიიდან... მეორე ფრანგული ციტატაა, ამოღებულია ფრანგული სოციალ-დემოკრატიული გაზეთიდან... რასაკვირველია, თუ ცენზორმა გაიგო საიდან არის ამოღებული ან ერთი, ან მეორე ციტატა, წაუსობს წითელ მელანს. როგორმე ცენზორი უნდა გავაცუროთ".

გ. წერეთელმა ეს შესანიშნავი წერილი არ დაუბეჭდა ეგნატეს, მიუხედავად მისი მრავალგზით თხოვნისა; ცხადია, რისთვის არ დაიბეჭდა. ამ წერილში გატარებული იყო საღი ინტერნაციონალური და მარქსისტულ-სოციალისტური პრინციპები. (უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. ახალ გამოცემის მესამე ტომში) მაგრამ იგი ვერ დაიბეჭდა ეგნატეს გარდაცვალების შემდეგაც. სამწუხაროთ ეს წერილი ჯერ-ჯერობით დაკარგულია.

კ. თავართქილაძეს უნდოდა ამოევსო ეს ხარვეზი და შეუდგა ეგნატეს სრული ნაწერების გამოცემას. მაგრამ იგი უბრალო სახალხო გამომცემელი იყო და ნაწერების მეცნიერული რედაქცია არ შეეძლო. მიუხედავად ამისა კ. თავართქილაძეს დიდი სამსახური მიუძღვის ე. ნინოშვილის ნაწერების გავრცელების საქმეში.

1920 წელს მენშევიკების მიერ გამოცემული სამტომიანი თხზულებანი ნინოშვილისა მექანიკურად არის გადმოწერილი 1904 წლის გამოცემიდან მთელი თავისი შეცდომებით. აღსანიშნავია, რომ გამომცემლობას ხელიც კი არ გაუნძრევია ეგ. ნინოშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესაკრებად, მისი კერძო წერილების შესაგროვებლად. 1920 წლის გამოცემაში ორი „დიდი" (?) ცვლილებაა შეტანილი: იგი სამ ტომად არის გამოცემული და დართული აქვს ცნობილ **ირ. წერეთლის** იდეალისტურ-ლიბერალური წერილი ეგნატეს შესახებ. ამაში გამოიხატა მენშევიკების ორიგინალობა.

1925 წ. გამოცემისათვის წინასწარი კომისია იქნა შედგენილი. ამ გამოცემით საკმაოდ წინ წაიწია ეგნატეს ნაწერების შეგროვების საქმე, მაგრამ მისი სავსებით ამოწურა, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო.

ახალი მე-4 აკადემიური გამომცემლობისათვის ხელმეორედ გადაისინჯა 80—90-იანი წლების მთელი ჟურნალ-გაზეთები, საცენზურო კომიტეტის არქივი სხვადასხვა პირთა (გ. წერეთლის, ან. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, პ. უმიკაშვილის, სიმ. ქუმბურიძის და სხვ.) არქივებში, გადაისინჯა ეგნატეს შესახებ დაწერილი მოგონებანი და წერილები; ასეთი კვლევა-ძიების საშუალებით დიდძალი მასალები, დოკუმენტები და ხელთნაწერები დაგროვდა ეგნატეს შესახებ, რომელიც სრულიად ახლად გაშუქებას აძლევენ მის ცხოვრებას და მოღვაწეობას. ამ მასალებიდან ეგნატეს უშუალო ნაწერებს შეადგენენ: 1) ავტობიოგრაფიული წერილი: „**ძველი სამახსოვრო წიგნებიდან ამოწერილი**" 2) **სამი პუბლიცისტური ხასიათის წერილი**, დაბეჭდილი 1888 წელს „ივერიაში" **ე-ის ფსევდონიმით**, 3) ორი სადაო პუბლიცისტური წერილი 1889 წლის „ივერიაში", 4) **სახალწლო პურ-ღვინო, მეორე ნაწილი** დაბეჭდილია თეატრში **ე-ის** ფსევდონიმით (ეს ნაწილი დაკარგული ეგონათ, დაბეჭდილი აღმოჩნდა თეატრში). 5) პატარა ნაწყვეტი დაუმთავრებელი მოთხრობიდან, 6) 30-მდე **კერძო წერილები** სხვადასხვა პირებთან.

რასაკვირველია ეგნატეს ლიტერატურული მემკვიდრეობა ამ ახალი აღმოჩენებით არ ამოიწურება. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ კიდევ აღმოჩნდება შემდეგში ეგნატეს ხელთნაწერები, განსაკუთრებით, კერძო წერილებში. შესაძლებელია აღმოჩნდეს ვინმეს არქივში მისი ვრცელი პუბლიცისტური წერილი: „**ძველი და ახალი**", მაგრამ ამისათვის საჭიროა თვით საზოგადოებამ გაუწიოს დახმარება რედაქციას. მისმა მეგობრებმა და ახლო ნაცნობებმა გადასინჯონ თავიანთი არქივები და მიუთითონ შესაფერისს გზებზე რედაქტორს, თუ სად შეიძლება აღმოჩნდეს ხელთნაწერები და წერილები.

ჩვენ შეგვეძლო აქ მოგვეყვანა მთელი რიგი საინტერესო ადგილებისა მისი ახლად აღმოჩენილი კერძო წერილებიდან, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო დავკმაყოფილდებით ერთი პატარა ადგილით 1888 წლის წერილიდან. იგი სწერს:

„მე ჯერ—კერძოდ კიდევ გრ. გურიელთან ვიმყოფები და შევყურებ უკბილო პირში, იქნება გალოკილი ძვალი გადმიგდეს მეთქი. ჯამაგირი თვიურად თითო მანეთი მაქვს, მაგრამ ეგ ხარჯათ არ მყოფნის და ამიტომ თანდათან ვალები მემატება, მომავალი ჩემთვისაც ამოცანაა, არ ვიცი თუ რა საქმეს დავადგები, როცა ეს ასი წლის ყბაწვეტი გრიგოლ წაბრძანდება წიაღსა აბრამისასა, თან თუ წავყვები, თორემ სხვა გზა ჯერჯერობით არა სჩანს. ოფიციალურ სამსახურში შესვლა არ შემიძლია, რადგან ვინმე „ქუდს" მომაყვანიებს და ტყვილა „გამაუბედურებენ"... **მართალია ამ დროებით ბრიყვეთში (საქართველოსათვის ახალი ამოკვლეული სახელია) ხელმწიფე მოგზაურობს და დიდი სიხარულში არიან მკვიდრნი ბრიყვეთისა".**

ეს მაგარი შოლტი იყო გადაკრული იმ წრეების მიმართ, ვინც აღფრთოვანებით შეეგებენ ალექსანდრე მესამეს მოგზაურობას საქართველოში.

ახალ გამოცემაში ყოველი ცალკე შრომის ისტორიაა გათვალისწინებული; მოყვანილია უამრავი მასალები მის შესახებ, [illegible] ავტორმა მასალა თავის მოთხრობისათვის. მაგ. „ჯანყი გურიაში" შენიშვნები ნაჩვენებია: 1) როდის დაიწერა რომანი; 2) როდის დაიბეჭდა და რა ცვლილებები განიცადა ტექსტმა: 3) როგორ შეკრიბა მასალები რომანისათვის; 4) რამდენად შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს რომანის შინაარსი.

აგრეთვე საინტერესო ცნობებია შეკრებილი „**მოსე მწერალის**" შესახებ. „ივერიაში" ვკითხულობთ:

„მე შემთხვევა მქონდა, გვწერს ერთი ჩვენი კორესპონდენტი, 20 ღვინობისთვეს თვით ჩემის თვალით მენახა ნინოშვილის მოთხრობაში—„მოსე მწერალი"—გამოხატული გმირები. ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ ერთი საქმე გაარჩია, რომელიც იმ გვარს გმირებს შეეხებოდა. საკვირველი ის არის, რომ შინაარსი ამ მოთხრობისა სრულის სავსებით გამოირკვა ამ სასამართლოში, როგორც თვით ბრალდებულების ჩვენებით, აგრეთვე მოწმებისა. მოწმეთა შორის თითონ მოსე მწერალიც იყო. ბრალდებულების ჩვენებიდან ნათლად გამოირკვა მოსე მწერლის დანაშაული იმის დაგვარად, როგორც მოთხრობაშია აწერილი და ვექილმა ეს თხზულება ბრალდებულების სიმართლის საბუთად წარადგინა. საზოგადოებაში ისეთი ინტერესი იყო აღძრული, რომ ამ მოთხრობას ხელში თვით სამსჯავრო დარბაზში კითხულობდა *) როცა მსაჯულები ბჭობას შესწყვეტდნენ ხოლმე. როგორც სასამართლოს წევრმა, აგრეთვე ბრალმდებელმა შინაარსი ამ მოთხრობისა წინად იცოდნენ და დიდის გულმოდგინებით ჰკიდნენ საქმეს. მაგრამ გასაკვირალი ის არის, რომ სასამართლოს განაჩენით იგივე ბრალდებულები დამნაშავედ იცნეს, ციმბირი გადაუწყვიტეს და მოსე მწერალი კი სრულიად განთავისუფლდა და ამჟამადაც სოფლის მწერლად ითვლება. ჩვენ ის გვანცვიფრებს, რომ ეს თავზე ხელაღებული კაცი სრულებით უვნებელი როგორ დარჩა". (იხ. „სასამართლოს მატიანე"—„ივერია" № 259, 1894 წ.).

ცხადია, შესანიშნავი მასალაა აღმოჩენილი „მოსე მწერლის" სოციოლოგიის შესასწავლად.

ეს მეოთხე აკადემიური გამოცემა იბეჭდება სამ ტომად. **პირველ ტომში** მოთავსებულია ქრონოლოგიების წესით 1888—91 წლებში დაწერილი მოთხრობები; **მეორე ტომში**—1892—94 წლებში დაწერილი; **მესამე ტომში**—ავტობიოგრაფია, პუბლიცისტური წერილები, კერძო მიწერ-მოწერა და სხვა მასალები და ვრცელი შენიშვნები აქ მოთავსებულ მასალების შესახებ, ბოლოში ვრცელი ბიბლიოგრაფია ამავე ტომში მოთავსებული იქნება ამხ. ფ. მახარაძის ვრცელი ნარკვევი „ეგ. ნინოშვილი და მისი დრო".

როგორც მკითხველი ხედავს ეს ახალი გამოცემა ბევრად განსხვავდება მის წინ არსებულ გამოცემებისაგან, როგორც ტექსტების დადგენის მხრივ, ისე მასალების მოცულობათა და შესაფერისი შენიშვნების დართვით. ამ გამოცემით საბჭოთა საზოგადოებრიობა მიიღებს მეცხრამეტე საუკუნის ერთად-ერთ შესანიშნავ **რევოლუციონურ-ბელეტრისტის** მეცნიერულად დამუშავებულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

---

*) რედაქციას განზრახვა ჰქონდა მოეთავსებია „სალიტერატურო გაზეთში" ამ წერილთან ერთად „პარტახის" ხელნაწერისა და გ. წერეთლის მიერ შესწორებული ტექსტის კლიშე, მაგრამ ამ ნომრისათვის ვერ მოესწრო. **რედ.**

**) ამჟამად საქართველოს მუზეუმს გადაეცემა დიდძალი მასალა ეგნატეს შესახებ და იქ მისი ცალკე ფონდი გაიხსნება.

ს. ხ.

*) ეს მოთხრობა ცალკე წიგნად გამოვიდა 1894 წლის დასაწყისში.

ავ.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტს

…… საგან

განცხადება

გიდგენთ სათანადოთ შევსებულ ანკეტას, გთხოვთ ჩამრიცხოთ საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის წევრათ.

ანკეტა

სახელი, მამის სახელი და გვარი ……
ლიტერატურული ფსევდონიმი ……
ლიტ. მუშაობის დარგი, (დრამატ., პოეტი, ბელეტ., კრიტიკოსი და სხ.) ……
თქვენი ლიტერატურული ნაწარმოებები ……
დაბადების დრო და ადგილი ……
ძირითადი პროფესია ……
ეროვნება …… განათლება ……
პარტიულობა ამჟამად ……
რომელ პარტიაში მუშაობდით წინად, რა დროიდან რა დრომდე ……
რომელ ლიტერატურულ ორგანიზაციაში ირიცხებოდი დღემდე ……
ოჯახური მდგომარეობა ……
სად და რა თანამდებობაზე მუშაობთ ……
სოციალური წარმოშობა ……
რომელ პროფკავშირის წევრი ხართ და რა დროიდან ……
არჩევითი თანამდებობები სალიტ. ორგანიზაციაში, პროფკავშირში ან პარტ-ორგანიზაციაში ……
რომელ ბეჭდვითი ორგანოში თანამშრომლობდით ან თანამშრომლობთ ……
რომელი წლიდან ბეჭდავთ სამხატვრო სალიტ. გამოცემებში ……
მისამართი (ანკეტის შემვსებელის) ……

ხელის მოწერა ……

ამოსჭერით და წარმოადგინეთ 1-ლ გვერდზე აღნიშნულ მისამართით

ლიტქრონიკა

რუსეთი

მ. გორკის ლიტერატურულ მოღვაწეობის 40 წელი

წელს, შემოდგომაზე სრულდება 40 წელიწადი, რაც მ. გორკიმ დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. მ. გორკის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა მოსკოვში, ლიტერატურულ ორგანიზაციებთან ერთად, შეუდგა მზადებას მ. გორკისათვის იუბილეს მოსაწყობათ.

ე. ვახტანგოვის გარდაცვალების 10 წლისთავი

29 მაისს შესრულდა ათი წელი რეჟ. ევგენი ვახტანგოვის გარდაცვალებიდან. მისი სახელობის თეატრმა თავისი მასწავლებლის ხსოვნის აღსანიშნავად აღადგინა მეტერლინკის „წმ. ანტონის სასწაული" ე. ვახტანგოვის დადგმით. ამას გარდა, მოეწყო ა. ჩეხოვის თითო აქტიან პიესების საღამო („ქორწილი", „ქურდები", „იუბილეი"), ეს პიესებიც დადგმული იქნა ე. ვახტანგოვის მიერ 1920 წელში.

უკრაინის ებრაული თეატრი მოსკოვში

ივნისის პირველ რიცხვებში მოსკოვში იწყება უკრაინის სახელმწიფო ებრაული თეატრის გასტროლები. საგასტროლო რეპერტუარში შეტანილია: „გირშ ლეკერტ"—კუშნიროვის, „რომან ცად"—ალბერტონის, „იულის"—დანიელის, „კადრიშ"-ი მოკიტენკოსი. სპექტაკლები გაიმართება მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის შენობაში 4 ივნისიდან.

„კლასიკოსების ტური"

მოსკოვის თეატრებში დაიწყო „კლასიკოსების ტური", რომელიც გახსნა მცირე თეატრმა ლ. ტოლსტოის „განათლების ნაყოფი"-თ. რევოლუციის თეატრმა განაახლა ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი". მეორე სამხატვრო თეატრმა დადგა დოსტოევსკის „დამცირებულები და შეურაცყოფილები" ი. სობოლევის მიერ გადაკეთებული თეატრისათვის. ვახტანგოვის თეატრში მიდის „ჰამლეტი", ებრაული თეატრი ამზადებს „მეფე ლირს", ხოლო ყოფ. კორშის თეატრი ოსტროვსკის „უმზითო ქალს".

საბჭოთა კინოს გამოფენა უცხოეთში

უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებამ ჰოლანდიაში გაგზავნა საბჭოთა კინოს გამოფენა (ჰოლანდიაში ამჟამად გახსნილია საერთაშორისო კინო-გამოფენა), რომელიც ჰოლანდიიდან გაიგზავნება საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში და შეერთებულ შტატებში. გამოფენაზე წარმოდგენილია საბჭოთა კინოს მიღწევები ოქტომბრის 15 წლის თავისათვის.

გამოფენასთან ერთად გაგზავნილია საუკეთესო საბჭოთა ხმოვანი სურათები და ხმოვანი ქრონიკა.

საქართველო

ს. ინაშვილის გასტროლები უკრაინაში

დამსახურებული მსახიობი ს. ინაშვილი საგასტროლოდ მიწვეულია ხარკოვში. ს. ინაშვილი მონაწილეობას მიიღებს 10 წარმოდგენაში. ის იმღერებს „აბესალომ და ეთერში", „ტოსკა"-ში, „კარმენ"-ში, „ევგენი ონეგინ"-ში და სხვ.

„რგოლებში" და „მკვდრები სდგებიან".

სანდრო ეულმა დასწერა რომანი „რგოლებში" და პიესა „მკვდრები სდგებიან".

ტფილისის ოპერის გასტროლები კისლოვოდსკში

15 ივნისიდან კისლოვოდსკში იწყება ტფილისის სახელმწიფო ოპერის გასტროლები, რომელნიც გასტანს 1-ლ აგვისტომდე. ქართული ოპერებიდან საგასტროლო რეპერტუარში შეტანილია „აბესალომ და ეთერი".

ქუთაისის თეატრში

ქუთაისის სახელმწიფო თეატრის სეზონი დაიხურა 30 მაისს გ. ბააზოვის პიესით „მუნჯები ალაპარაკდენ".

სომხეთი

„გიდროცენტრალი"

კინორეჟისორი **ნ. შენგელაია** და **ესფირ შუბი სწერენ სცენარის მ. შაგინიანის** რომანის „გიდროცენტრალი"-ს მიხედვით. **სურათს დგამს სომხეთის კინომრეწველობა.**

ოპერა ერევანში

ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავზე ერევანში იხსნება პირველი საბჭოთა ოპერა. სეზონი გაიხსნება ა. სპენდიაროვის „ალმასტ"-ით.

პარტიული ხელმძღვანელობა კულტმუშაობას

რკინისგზელ მუშა - მოსამსახურეთა და ინჟინერ - ტეხნიკოსთ შორის კულტურულ - აღმზრდელობითი მუშაობის გაჩაღების საქმეში ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება რკინის გზის მუშათა კლუბებს.

ამ კლუბებმა ისე უნდა გარდაქმნან და გააუმჯობესონ თავიანთი საქმიანობა, რომ **ნამდვილად გადადგან გაბედული ნაბიჯი მუშათა ფართო მასის კულტურულად აღზრდის საქმის გაუმჯობესებისა და სატრანსპორტო - საფინანსო გეგმებისათვის ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის.**

ტფილისში, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბი ენერგიულად იბრძვის ამ საპასუხისმგებლო ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

გასულ წელთან შედარებით, **კლუბთან არსებულ დრამწრეების მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა. თვალსაჩინოდ გადახალისდა რეპერტუარი. თითქმის ყოველი წარმოდგენა წარმოების ხასიათისაა, იქ მკაფიოდაა აღნიშნული ბრძოლა ბელადის 6 ისტორიული მითითების რეალიზაციისათვის, საწარმოო-საფინანსო და შემხვედრ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის; ბრძოლა შრომის დეზერტირობასთან, სიმულიაციასთან, დაუდევრობა-უპასუხისმგებლობასა და გაუპიროვნებასთან** ტფილისის, როგორც ორთქლმავალ-ვაგონთა დეპოში, სადგურში და სხვ.

პლეხანოვის კლუბი შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობასთან: **იქ 60 დიასახლის-ქალმა შეისწავლა წერა-კითხვა.**

ამას გარდა, კლუბი ყოველთვის თავის დროზე ეხმარება სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიების ჩატარებას.

მიმდინარე წელს კლუბმა მოაწყო 20-მდე საღამო: ავჭალის წყალსადენის მუშებთან, ნავთლუღში, რკინის გზის მუშფაკში, მილიციელთა კლუბში, სტალინის სახ. კლუბში და სხვ., სადაც გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთებიც.

კლუბთან არსებობს **19 სხვადასხვა** წრე. წრეების მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ ტფილისის ორთქლმავალ-ვაგონთა შემკეთებელ ქარხნის მუშები, ტფილისის დეპოს, სადგურისა და რკ. გზის სხვა წარმოებათა მუშა-მოსამსახურეები.

პლეხანოვის სახელობის კლუბს ფართოდ აქვს გაშლილი კულტმასიური მუშაობა. კითხვა - პასუხის საშუალებით ხდებოდა იმის შემოწმება, თუ რამდენად ერკვეოდენ წარმოების მუშები ამა თუ იმ კამპანიის მნიშვნელობაში.

უფრო მომზადებულ და გათვითცნობიერებულ მუშებს კლუბი აჯილდოვებდა —სხვების წახალისების მიზნით.

სხვადასხვა სამეურნეო - პოლიტიკურ კამპანიის ჩატარებისათვის ხელის შესაწყობად, საწარმოთა საამქროებში საუზმის დროს ეწყობოდა მოხსენებები, შემდეგ კი კონცერტები და სხვ.

კლუბის მუშაობის კიდევ უფრო გაშლა-გაფართოებას ხელს უშლის მთელი რიგი მიზეზები, სახელდობრ:

წრეების სამეცადინოდ კლუბს არ აქვს სათანადო ბინა, ოთახები, პარტიულ-პროფესიონალური ორგანიზაციები წინასწარ არ უთანხმდებიან კლუბის გამგეობას იმის შესახებ, რომ ამა და ამ დღეს კლუბში უნდა ჩატარდეს საერთო კრება, თათბირები და სხვ.

ეს გარემოება არღვევს **კლუბის მუშაობის გეგმას.**

მოვარჯიშე, თავისუფალ ორგანიზაციებს კლუბის ბაღი სამხედრო - სავარჯიშო მოედნად აქვთ გადაქცეული. შედიან კლუბის გამგეობის დაუკითხავად და ფეხ-ქვეშ სთელავენ ყველაფერს.

ტფილისის „რაიტპოს" ზაფხულობით ბაღში აქვს გახსნილი ბუფეტი, რომელიც დღემდე არ ყოფილა სათანადოდ მოწყობილი, არ იყო ცხელი საჭმელი, წარმოების მუშებს არ ჰქონდათ საშუალება თავიანთი ოჯახების წევრებთან ერთად ესარგებლნათ ამ ბუფეტით.

ამას გარდა, ერთობ გადიდებული ფასები იყო დაწესებული ბუფეტის პროდუქციაზე.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია კლუბის გამგეობამ და ზოგიერთი რამ გამოსწორების ნიშნებს იძლევა; ნამდვილი რადიკალური გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა.

უნდა აღინიშნოს, რომ რკინისგზელთა პროფკავშირის ტფილისის რაიონული კომიტეტი ნაკლებ მზრუნველობას იჩენს პლეხანოვის სახ. კლუბისადმი.

კლუბი დღემდე არაა გადასული სამეურნეო ანგარიშზე.

პირველ იანვრისათვის წარდგენილ ხარჯთაღრიცხვით, კლუბი მოითხოვდა 18.400 მანეთს იმისათვის, რომ შესაფერისად მომზადებულიყო საზაფხულო სეზონისათვის, გაეუმჯობესებინა კეთილმოწყობის საქმე და მეტი მომსახურეობა გაეწია რკინისგზელ მუშებისათვის; რაიონულმა კომიტეტმა კი მხოლოდ ერთი თვის წინედ გაუბრუნა კლუბს „დამტკიცებული" ხარჯთ აღრიცხვა... 8.420 მანეთის რაოდენობით.

ამრიგად, თუმცა ამ თანხით ბევრი არაფერი კეთდებოდა, მაგრამ რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, იმისი თავის დროზე გაკეთების საშუალებაც არ მისცეს კლუბის ხელმძღვანელობას.

კლუბს ჰქონდა სათბური, რის მოწყობა-გაუმჯობესებისათვის დროზე მიიღო ზომები კლუბის გამგეობამ, მოითხოვა საჭირო სახსარი, მაგრამ... რაიკავშირმა, როცა დრო იყო, მაშინ არ მიაქცია ყურადღება, ხოლო ეხლახან გადასდო 2.000 მანეთი, რაც დღეს ბევრს ვერაფერს გააკეთებს.

ორკესტრისათვის არ არის ბინა.

არ არის საშუალება იმისათვის, რომ ზაფხულში გარეთ იქნეს გატანილი ჭადრაკი და სამკითხველო.

კლუბის კულტსაბჭო სუსტად მუშაობს.

კულტმუშაობის შემდგომ გაშლისათვის დაკვრითი წესით უნდა აღმოვფხვრათ ყველა დეფექტები და ხელის შემშლელი მიზეზები, პლეხანოვის კლუბის საქმიანობაში.

უნდა უზრუნველვყოთ ნამდვილი ოპერატიული ხელმძღვანელობა მუშათა კულტყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესების საქმისადმი.

პ.

ენათმეცნიერების კათედრის რეორგანიზაცია

„სალიტერატურო გაზეთი"-ს რედაქციას

გაზ. „სალიტერატურო გაზეთის" 6, 7, და 10 №-ში მოთავსებული იყო ამხ. ამხ. **ღლონტის, მ. ჩიქოვანის და მ. ჩხენკელის** ხელმოწერით წერილი, სათაურით „მოვითხოვთ მატერიალისტური ენათმეცნიერების კათედრის დაარსებას"—ამის შესახებ საქ. სახ. პედინსტიტუტის დირექცია და პარტ ბიურო კოლექტივი გაცნობებთ, რომ ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა რეორგანიზაციაქმნილია და მის ნაცვლად სამოსწავლო წლიდან დაარსდება მატერიალისტური ენათმეცნიერების კათედრა.

საქ. სახ. პედინსტიტუტის დირექტორი ი. ყაშაყაძე.

პარტბიურო კოლექტივის პ. მგ. მდივანი მ. პაიჭაძე.

„სემპერანტე"

თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში ივნისის პირველ რიცხვებში დაიწყება მოსკოვის თეატრის „სემპერანტე"-ს გასტროლები. ეს თეატრი წარმოადგენს ერთად-ერთს, რომელიც მუშაობს მხოლოდ იმპროვიზაციის მეთოდით. „სემპერანტე" არ დგამს წინასწარ დაწერილ პიესებს. ის იღებს სცენარს, ან მოთხრობას და მსახიობები ავტორთან ერთად რეჟისორის ხელმძღვანელობით, [illegible] ქმნიან წარმოდგენას.

ამ რიგად „სემპერანტე"-ს დრამატურგის შემოქმედებითი მუშაობა უშუალოდ გადააქვს წარმოებაში, სადაც ცოცხალ მასალაზე შემდეგში სცენიურ სახეების შემქმნელთა—ავტორის, მსახიობების, რეჟისორის, კომპოზიტორის და მხატვრის მონაწილეობით იძლევა ერთ მთლიან მხატვრულ პროდუქციას, ყოველი წარმოდგენა არის კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი.

„სემპერანტე" თბილისში დადგამს 6 ასეთ პიესას, პირველ რიგში ფ. გლადკოვის მოთხრობის მიხედვით შექმნილ კომედიას: „თავდება კაცი".

ამ წარმოდგენას მოსკოვში ჰქონდა დიდი წარმატება: „თავდება კაცი", სულ წარმოდგენილი იქნა 500-ჯერ.

თეატრის მხატვრული ნაწილის გამგეა ვ. სმიშლიაევ.

დასასვენებელი ბაღები

საქართველოს პროფსაბჭოსთან დაარსდა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ზაფხულის განმავლობაში მუშებისათვის დასასვენებლად ბაღების შესაფერისად მოწყობა.

ძირითად დასასვენებელ ადგილებად მიჩნეული იქნა: ფუნიკულიორი, 26 კომუნარის სახელობის და ვერის ბაღები. აღნიშნულ ადგილებში უკვე სწარმოებს სასწრაფო მუშაობა კინოს, ფიზკულტურის მოედნის, რადიოს და სხვათა მოსაწყობად. დასასვენებელ ბაღებში საზაფხულო სეზონის გახსნა განზრახულია 1 ივნისისათვის.

„შიში"

კ. მარჯანიშვილის თეატრში

სახელმწიფო დრამა კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით მორიგ პრემიერად ამზადებს ა. აფინოგენოვის პიესას—„შიში", რომელიც დიდის წარმატებით მიდის მოსკოვის პირველ სამხატვრო თეატრში და ლენინგრადის დიდ დრამატიულ თეატრში.

პიესას დგამს რეჟ. **ს. ჭელიძე**, მხატ. **ე. ახვლედიანი**, მუსიკა—თ. ვახვახიშვილის. პრემიერა დანიშნულია 3 ივნისისათვის.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული რეზოლიუცია სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ, მემარჯვენე მწერლებმა პროლეტარული მწერლობის ლიკვიდაციად გაიგეს და პროლეტარულ მწერლობაზე თავდასხმას შეეცადენ.

სამწუხაროდ, მოკავშირე მწერალმაც კი მიმართა ცინიზმს პროლ. მწერლობის ღირსეული წარმომადგენლის მიმართ. მხედველობაში გვაქვს ამხ. **სიმონ ჩიქოვანის** არაამხანაგური დამოკიდებულება ამხ. **ალიო მაშაშვილისადმი,** წერილში „პოეზიის მიმდინარე საკითხები (იხ. ა. წ. „სალიტერატურო გაზეთი" № 12). *).

მართალია, სოციალიზმის მშენებლობას ვერ დაამთავრებს მარტო „პარტიული უწცირესობა" (ლენინი), მას დაამთავრებს — ათეული მილიონები, რომელთაც შეისწავლეს ისტორიული საქმის „თავისი ხელებით კეთება"; მართალია, ჩვენი განვითარების [illegible] ეტაპზე [illegible] ყურადღება ექცევა მშრომელ ინტელიგენციას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი წარმომადგენლებისადმი ვეგეტარიანული დამოკიდებულება დავამყაროთ.

კლასობრივი ბრძოლა გრძელდება იდეოლოგიის ფრონტის ლიტერატურის უბანზე და ყბედობა ან ფიქრი „კლასიურ ზავზე" და სხვ. კლასობრივი მტრის შენიღბვის ფორმაა. გრძელდება ბრძოლა ბურჟუაზიულ - კულაკური მწერლებისა და მიტმასნებულების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში თანამგზავრი და მოკავშირე მწერალი პარტიას საქმით უნდა ეხმაურებოდეს. ერთ-ერთი ასეთი მწერალია სიმონ ჩიქოვანი და მით უფრო დასაფიქრებელია მისი უტაქტო და ნაწილობრივაც არაამხანაგური ბეჭდვითი გამოსვლა ამხ. ალიო მაშაშვილის წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ **ალიო მაშაშვილი** ერთ-ერთი ძლიერი პროლეტარული პოეტია და დრამატურგი, რომლის ძალა მისი ორგანიულ კავშირშია ჩვენი ეპოქის წამყვან ტენდენციებთან. მაშაშვილს აფასებს პროლეტარული მკითხველი, როგორც პროლეტარული მოწოდების კარგ ოსტატს! მაშაშვილი უკვე მნიშვნელოვანი **ფიგურაა** მასალის სიუჟეტური და ტეხნიკური დამუშავებითაც, მშრომელი ახალგაზრდობის თუ შეიძლება ასე ითქვას „ემოციანალური ცხოვრების" (ა. გიდაშ) ერთ-ერთი ხელმძღვანელია. ყველა ამის შემდეგ უფრო ყურს ძალზე ეჩოთირება ამხ. ს. ჩიქოვანის მაშაშვილის მისამართით შემ. „ქედ მაღალი" განცხადება: „მართალია, როცა ერთი ახალგაზრდა **პოეტი** ლაპარაკობს: „უნდა აშენდეს ნივთი ბოლშევიკურ მსოფლმხედველობით". მაგრამ ის არ არის კმაყოფილი, როდესაც კმაყოფილდება ამ განცხადებით და თვით მხატვრულ პროდუქციაში არ გვიჩვენებს იმ პროცესს, როდესაც ახალი ადამიანები ბოლშევიკური მსოფლმხედველობით აშენებენ ბოლშევიკურ ნივთს. დღევანდელი პოეზიის დაკვრითი ამოცანაა გვიჩვენოს ბოლშევიკური შრომის ფორმები და სხვ. უბრალო ლიტერატურული ეთიკა მოითხოვს, რომ როდესაც ვისმე (და ისიც პოეტურ ფიგურას) ეკამათები ან ედავები არ უნდა გაურბოდე მისი გვარის ხსენებას. იქნება ჩიქოვანისათვის ისეთი უმნიშვნელო მოვლენაა ჩვენს პოეზიაში მაშაშვილი, რომ მისი გვარის ხსენებაც არა ღირს? თუ ჩიქოვანისათვის „მოსახერხებელი" იყო ამავე წერილში გვარების პრეისკურანტი წარმოედგინა, რატომ გაექცა მაშაშვილის გვარს?! არა, „დიპლომატიას" თავი დავანებოთ! ძალზე ცნობილია „ლიტერატურულ წრეებში" „ეპიტეტ" „ახალგაზრდა"-ს მნიშვნელობა და შინაარსი! „ახალგაზრდა მწერალი", ე. ი. უმნიშვნელო, მოუმწიფებელი! თუ მაშაშვილი ასეთია, მაშინ ს. ჩიქოვანი?.. „ნუცას სკოლა"-ს საფეხურის პოეტი იქნება! არც ერთია სწორი და არც მეორე, როგორც მაშაშვილი, ისე ჩიქოვანი პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლები არიან, სოციალისტური ლექსის ენერგიული მშენებლები.

ს. ჩიქოვანის უტაქტო გამოსვლა მაშაშვილის მისამართით „ტრადიციული ჰაობის" ნეტარხსენებული ტრადიციების გამოვლენის შტანგია, მწერალთა მასის ზოგიერთ ფენაში აქა-იქ კიდევ ფუთფუთებენ „ლიტერატურული ყოფის", ბოგემის ჭიები. მოვსპოთ მთლიანად! ს. ჩიქოვანი ხომ ბევრს **ლაპარაკობს ახალი პოეტის ტიპზე!**

რატომ მიგვითითებს ეს კონკრეტული ფაქტი? ჯერ კიდევ ცოცხლობს „ლიტერატურული ყოფის" ელემენტები, ადგილი აქვს ერთიერთმანეთისადმი არაამხანაგური დამოკიდებულების შემთხვევებს, ანარქისტული კონკურენციისადმი და „მონოპოლისტური" ტენდენციებისადმი დეკადენტურ ინტერესს. დროა, მთლიანად დავსძლიოთ მონური წარსულის ჩვევების წნევა საბჭოთა მწერლების ზოგიერთ რგოლში. ეს რგოლები საჭიროებს ფსიხოლოგიურ რეკონსტრუქციას. უამისოდ ვერ შეიქმნება სოციალისტური მწერლის ტიპი.

ვ. ლუარსამიძე.

—:—

ამხ. რედაქტორო!

„სალიტერატურო გაზეთის" მე-12 ნომერში მოთავსებულია ანგარიში მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომისა, რომელიც შედგა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას 23 აპრილის დადგენილებასთან დაკავშირებით.

ეს ანგარიში გადმოგვცემს სხდომაზე გამოსულ ორატორების სიტყვათა შინაარსს. მოყვანილია მოკლედ ჩემი სიტყვაც. მაგრამ, რასაც გაზეთი მაწერს, სამწუხაროდ, ისეთი რამ კრებაზე მე არ მითქვამს:

გაზეთი სწერს, თითქოს მე ვთქვი:

„ნ. მიწიშვილი: მწერალთა ახალ ორგანიზაციაში შეიქმნება ისეთი ასპარეზი, რომელიც უფრო ნათლად გამოარკვევს—ვინ არის ნამდვილი საბჭოთა და ნამდვილი მემარჯვენე მწერალი. დღემდე კი ამის შესაძლებლობა არ იყო, რადგან მწერალთა ორგანიზაციები აერთიანებდენ ისეთ მწერლებს, რომელთა ერთ ფარგალში მოქცევა არ შეიძლებოდა".

მე კი ვსთქვი, რომ „ამ ათი წლის განმავლობაში პროლეტარული მწერლობის ზოგიერთ ხელმძღვანელთა გავლენით ჩვენს მწერლობაში ისეთი ატმოსფერა შეიქმნა, რომ თითქმის ყველა არაპროლეტარული მწერალი გამოცხადებულ იქნა ზოგი მემარჯვენედ, ზოგი ანტისაბჭოდ და ზოგი რეაქციონერად. ყველას მიეკრა ესა თუ ის იარლიკი და შეიძლება ითქვას, რომ არაპროლეტარულ მწერალთა ფართო წრეებისათვის მემარცხენეობის გზები ხელოვნურად დახშული იყო.

ასეთმა პოლიტიკამ ფსიქოლოგიურად გააერთიანა თითქმის მთელი არაპროლეტარული მწერლობა, მოსპო მის რიგებში დიფერენციაციის შესაძლებლობა და ისეთი ხალხი ვინც წარსულში ლიტერატურულად და პოლიტიკურად მუდამ ერთი მეორეს ებრძოდა—დღეს ყველა [illegible] მემარჯვენე ბანაკში არიან ჩარიცხულნი.

ეს არანორმალური მდგომარეობა [illegible] ცეკა ს დადგენილების შემდეგ [illegible] მწერალს უფლება ეძლევა დაიკავოს ის ადგილი, რომელიც მას მართლა ეკუთვნის, ეძლევა მეტი საშუალება წავიდეს [illegible]ნივ, რამდენადაც ეს მემარცხენეობა [illegible] არავის განსაკუთრებულ მონოპოლიას არ შეადგენს. ამრიგად, დიფერენციაციაც მწერლობაში უფრო ჩქარი ტემპით წავა, რაც უეჭველად გამოაცოცხლებს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას".

როგორც ხედავთ, ჩემი ნათქვამი სულ სხვაა და გაზეთში დაწერილი თითქმის— ამის საწინააღმდეგო.

ამიტომ გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ პატარა შენიშვნას.

ნიკოლოზ მიწიშვილი.

—:—

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ შემდეგი:

ჟურნალ „პროლეტარული მწერლობის" ა.-წ. № 12-ში გადმობეჭდილია გაზ. „კომუნისტი"-დან საქართველოს პროლეტ. მწერალთა ასოციაციის ბიუროს კომფრაქციის 5 თებერვლის დადგენილება, სადაც დახასიათებულია სოციალ-ფედერალიზმის რეციდივისტთა (ამხ. ამხ. ხუნდაძე, ამაღლობელი, ბუაჩიძე და მოქ. თავზარაშვილი) შეცდომები. ამ დადგენილებასთან ერთად კომფრაქციამ მიიღო **სპეციალური** დადგენილება, რათა მე გამეკრიტიკებია ჩემი შეცდომები (რაიც უკვე შესრულებულია). „კომუნისტ"-ში და „ზარია ვოსტოკა"-ში ეს დადგენილება ჩემს შესახებ დაბეჭდილ იქნა **ცალკე დადგენილების სახით,** იწყებოდა იგი **ახალი აბზაცით** და დანომრილი იყო **რომაული ციფრით** (II), რაიც მოასწავებდა იმას, რომ ჩემი საკითხი და ფედერალიზმის რეციდივისტთა საკითხი ორი სხვადასხვა საკითხია. სამწუხაროდ ამ დადგენილების გადმობეჭდვისას ჟურ. „პროლეტარულ მწერლების" რედაქციამ, დადგენილება ჩემს შესახებ, დაუბეჭდია პირველ დადგენილებასთან ერთად, რომელიც სოციალ-ფედერალიზმს ეხება და დაუნომრავს არაბული **ხუთით,** რაიც რედაქციის მიერ კომფრაქციის დადგენილების ფრაქციის დაუკითხავად და მისგან მალულად აშკარა **გადაკეთებას** და ორი სხვადასხვა ხასიათის დადგენილებათა აღრევას მოასწავებს. ამ **ჯგუფურ ჩხირკედელაობას და ბოროტმოქმედებას** ჩვენ არ მივაქცევდით ყურადღებას, რომ ჟურნალის სხვა მასალაც ჩემ წინააღმდეგ ასეთივე მეთოდებით არ იყვეს დაბეჭდილი. რამდენადაც ჩვენ ვიცით ვოლსკისა და ლუარსამიძის (რომელიც მაშინ რედაქტორი იყო) წერილი ჩემს წინააღმდეგ **სარედაქციო კოლეგიის** დასტურის გარეშე და მისგან **მალულად** იქნა დასტამბული. ასეთი **მეთოდები** რა თქმა უნდა უკვე საკმაოდ ახასიათებს თვით ჩემ წინააღმდეგ წარმოებული ჩხირკედელაობის ჯგუფურ შინაარსსაც.

ვ. ქიქოძე.

---

*) ამხ. ჩიქოვანის წერილი რედაქციამ მიიღო ცეკას დადგენილებამდე. **რედ.**

ბიბლიოგრაფია

ა. ისაკიანი—„აბულ ალა მაარი"

თარგმანი — ტიციან ტაბიძის

„იდგენ და ელოდენ. უსაზღვროა მოების მოლოდინი", ვაჟა-ფშაველა მთელი თავისი სიცოცხლე მისტიროდა ქართველთა რაინდობას, ელოდა ქართველი ერის სახელმწიფოებრივ ჰეგემონიას დარუბანდიდან— ტრაპიზონამდე, კარნუ-ქალაქიდან ვიდრე ძაუგამდე, ანუ თამარის დროინდელ სახელმწიფო საზღვრების რესტავრაციას... ამიერ-კავკასიის მშრომელი მოსახლეობა კი საუკუნეების განმავლობაში ელოდა მოძმე ერების კონსოლიდაციას, მეგობრულ ურთიერთობას, კულტურულ კავშირსა და თანამშრომლობას.

ისტორიული სიმართლე უკანასკნელთა მხარეზე იყო. საჭირო იყო მისი განხორციელება, ბრძოლა სიმართლის მოპოებისათვის. ლენინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ და ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ გადასჭრა ეს საკითხი და მრავალი საუკუნოების ოცნება რეალურ ფაქტად აქცია. ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკების ფედერატიულმა შეკავშირებამ ძირშივე ამოსწვა არც ისე შორეული წარსულის ეროვნული შუღლი.

უკვე თორმეტი წელია ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკები ბოლშევიკური ტემპებით იბრძვიან ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

ცნობილია, რომ ხელოვნების ფრონტი, კერძოდ მხატვრული ლიტერატურა ჩამორჩება სოციალისტური მშენებლობის ტემპებს. ეს ითქმის თარგმნილ ლიტერატურაზედაც. ამ დარგში განსაკუთრებით ჩამოვრჩებით. ამიერ-კავკასიის მოძმე ერები ნაკლებად იცნობენ ურთიერთ მიღწევებს ლიტერატურულ ფრონტზე..

თითო-ოროლა შემთხვევითი თარგმანი ცხადია ამ ხარვეზს ვერ ამოავსებს. გეგმიანი მუშაობა კი სამწუხაროდ ჯერ არ დაწყებულა. დამაბრკოლებელი მიზეზები მრავალია, მთავარი კი ის არის, რომ მოძმე ერების მწერლობა განსაკუთრებით, როგორც ძველი ისე მათი ახალი კადრები ჯერ კიდევ სამწუხაროდ არ იცნობენ ურთიერთ ენას, ამიტომ ის შემთხვევითი თარგმანებიც ხშირად შესრულებულია რუსული ან სხვა რომელიმე ტექსტიდან (თარგმანის თარგმანი) და არა ორიგინალიდან რაც, რა თქმა უნდა, მეტად ასუსტებს ნაწარმოების მხატვრულ ღირსებას და ხშირად ძირითად აზრსაც ამახინჯებს...

ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ავეტიკ ისაკიანის პოემა „აბულ ალა მაარიზე", რომლის ქართული თარგმანი შესრულებული ტიციან ტაბიძის მიერ ამ დღეებში გამოვიდა.

ავეტიკ ისაკიანი ცნობილი სომეხი მწერალია. მისი შრომები მრავალ უცხო ენებზეა თარგმნილი, მარტო „აბულ ალა მაარი" თერთმეტ სხვადასხვა ენაზეა თარგმნილი. ჩვენ კი [illegible] ვეცნობით მას, ისიც მარტო ერთი პოემით, რომლითაც ცხადია, ძნელია მწერლის შემოქმედების გზების შეფასება.. ჩვენს მიზანს ეს არც შეადგენს. ისაკიანის ცხოვრების ზოგადი შტრიხები ასეთია.. „დავიბადე 1875 წელს.. ბავშობა გავატარე ქალაქში და სოფელში, ჩვენს მამულში... გარეგნული მხრით ჩემი ცხოვრება იყო ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანი. ციხე, გადასახლება, ისევ ციხე, დიდი ხნის ემიგრაცია, მაგრამ არსებითად, შინაგანი შინაარსით—ყოველთვის მოუსვენარი დაუდეგარი და დაუკმაყოფილებელი", ისაკიანი სხვა პირადულ თუ საზოგადოებრივ უკუღმართობასთან ერთად მთელი თავისი ცხოვრება დასტიროდა სომხეთის ნაციონალურ უბედურებას. შეწუხებული იყო მეფის რუსეთის დროინდელ [illegible] თანამოძმეთა მდგომარეობით, მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ისაკიანი, როგორც ამას მის პოემაში ვხედავთ, ამ ქვეყნიურ სინამდვილიდან გაქცევაში ხედავდა. პოემა „აბულ ალა მაარი" ოქტომბრის რევოლუციამდეა დაწერილი... როგორც ვთქვით პოეტი შეწუხებულია თავის სამშობლო მხარის და თანამოძმეთა არსებული მდგომარეობით... მას სძულს და ეზიზღება კანონი-სამართალი, ჩაგრულთა კიდევ უფრო დასამონებლად მოგონილი... ზიზღით უცქერის ბიუროკრატიულ წესწყობილების და მის ერთგულ მოხელეებს. აღშფოთებულია ხალხის ერთი ნაწილის გაიძვერობითა და მლიქვნელობით.. ამიტომ ის გარბის სინამდვილიდან.. უიმედოთ უცქერის მას, გულგატეხილია აწმყოზე და მომავალსაც ვერ უცქერის იმედიანი თვალებით... ის უდაბნოსაკენ მიეშურება... ისე როგორც ბარათაშვილი თავის „მერანით" ფიქრობს გაშორდეს „კლდესა და ღამეს".

ავ. ისაკიანის ეს პოემა ბარათაშვილის „მერანის" გაგრძელებაა... ამას ავტორიც შენიშნავს პოემის ქართული ტექსტის წინასიტყვაობაში: „მოხარული ვარ შეძლება მაქვს განვაცხადო, რომ ჩემი უფროსი ძმა ნიკო ბარათაშვილი იყო ამ პოემის შთაგონება. მისმა უმშვენიერესმა „მერანმა" მე თავდავიწყებით გამიტაცა. აბულ ალა მაარის ქარავანი ბარათაშვილის მერანის კვალს მისდევს". და მართლაც როგორი ხათესაობაა:

„მაშ ასე, სულ წინ, გასწი იარე,
„შენ ქარავანო, უდაბნო მხარეს
„აბა რა დაგვრჩა უკან ასეთი,
„რომ მოგონება გულს გაუხარდეს... და სხვა.

ან კიდევ:

„აბა რა დაგვრჩა ჩვენ სამშობლოში,
„რომ დაბრუნება იმისთვის ღირდეს?
„დავტოვეთ ცოლი? ან მეგობარი??
„ოჯახი დიდი? დიდი სიმდიდრე?
„დავტოვეთ ხალხი. ან და კანონი?
„თავისუფლება? სამშობლო კერა?
„ნუ ჲგვიანებ ჩვენ თუ დავტოვეთ
„მარტო მონობა და ბორკილები.
„სიცრუე ხალხს რომ პირზე ეკერა!..
და სხვა.

აქ ყველაფერი გარკვევით არის ნათქვამი... ის არაფერს ხედავს სამშობლოში ისეთს, რომ იქ დაბრუნება ღირდეს. ის ხელაღებით უარყოფს ამ ქვეყნიერებას. უიმედო და ხელჩაქნეულია ამქვეყნიერ სინამდვილეზე... ხსნა გაქცევასა და გადახვეწაშია... უდაბნოს ცხელ ქვიშის სამარეში.

„წინ ქარავანო, გააპე ქარი,
„ნუ შეგაშინებს უდაბნო ხვატი.
„ამ უდაბნოში სხვა გზა არ არი
„ვერც თავს გადირჩენ რაიმე სხვათი
და სხვა.

ან კიდევ:

„წინ ქარავანო, ექიდნოს მანდე.
„ანდა დამმარხე მაგრათ სილაში.
„როცა კანონი აღარ იქნება,
„თავისუფლებას მე ვიგრძნობ მაშინ"
და სხვა.

ავ. ისაკიანის რევოლუციის შემდგომ პერიოდის შემოქმედებითი მუშაობას სამწუხაროდ ჩვენ არ ვიცნობთ...

ამ პოემის წინასიტყვაობაში გაბედულად თქმული ავტორის სიტყვები გვავალდებულებს ვიფიქროთ რომ ოქტომბრის რევოლუციამ ძირითადი გარდატეხა მოახდინა პოეტის მსოფლმხედველობაში. ახლა ის ნაცვლად უკანასკნელ ლტოლვისა გაბედულად სწერს: „მეფის დესპოტიზმი, რომელსაც სურდა დაჩაგრულ ერების ასიმილიაცია და ეროვნული თავისებურებათა აღკვეთა, ათასს დაბრკოლებას უქმნიდა ხალხთა ძმობის იდეას. ოქტომბრის რევოლუციის ჩაქუჩმა მოსპო ეს ბოროტება— მეფის დესპოტიზმი—და ფართო გზა გაუშალა წინათ დაჩაგრულ ერებს ურთიერთ გაცნობისათვის სიყვარულისათვის და ერთობისათვის".

სრული ჭეშმარიტებაა... ბურჟუაზიულმა რევოლუციამ თუ ომისა და ურთიერთ ხოცვა-ჟლეტის ცეცხლი დაანთო ამიერ-კავკასიაში, ოქტომბრის ძლევამოსილმა „ჩაქუჩმა" ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრა ეროვნული შუღლი.

ავეტიკ ისაკიანის პოემა წარსულშია... მაგრამ ჩვენ არ გვავიწყდება ლენინის ანდერძი წამოსული კულტურული განძების გამოყენების შესახებ. ამიტომ ისაკიანის პოემა [illegible] იმისა, რომ ის უცხო და მეტად დაშორებულია თანამედროვეობას საინტერესოა, როგორც ნიმუში პოეტის სასოწარკვეთისა, [illegible] მეფის დროინდელ ვითარებაში. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მან განაცხადა: „ჩემთვის ერთად ერთი ბედნიერება არის — რომ მოვესწარი და ჩემი თვალით ვნახე სომხეთის სახელმწიფოს შექმნა, ამის განხორციელებას მე ავადმყოფური ზმანებით ველოდი მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების დაწყებიდან" და ეს **„ერთად ერთი ბედნიერება"** მხოლო და მხოლოდ მუშათა კლასის მტკიცე ნებისყოფას შეეძლო გამოეჭედა, რაც პოეტი ვერ ხედავდა და ვერ აფასებდა რევოლუციამდე; მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ და პროლეტარიატის დიქტატურამ შეუცვალა სამოგზაურო მარშრუტი „აბულ ალა მაარი"-ს ავტორს და უდაბნოსკენ გაქანებული საკუთარ სამშობლოს დაუბრუნა, როგორც პოეტი.

დასასრულ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ტიციან ტაბიძის გულმოდგინეობა თარგმანისადმი. „აბულ ალა მაარის" თარგმნის დროს ტიციან ტაბიძე ბრიუსოვის რუსული თარგმანით სარგებლობდა, აგრეთვე ის, როგორც ამას თვითონ სწერს პოემის ქართულ თარგმნის წინასიტყვაობაში, საფუძვლიანად გაცნობია პოემის სომხურ ტექსტს, რის შედეგიც ალბად ის არის, რომ პოემა „აბულ ალა მაარი" ქართულად უფრო ჩქარა ორიგინალურ ნაწარმოებს ჰგავს ვინემ თარგმნილს, ისიც ისეთ პირობებში, როცა მთარგმნელი პოეტი არ იცნობს იმ ენას, რომელზედაც დაწერილია პოემის ორიგინალი.

თარგმანს უთუოდ აზის ოსტატის ხელი, და პოეტ ისაკიანის პოეტური პათოსი და ლექსის კულტურა გადმოცემულია ძლიერად და დამაჯერებლად.

პან. ჩხიკვაძე.

სარედაქციო კოლეგია
რ. გვეტაძე, დ. დემეტრაძე (პ.-მგ. რედაქტორი), შ. დუდუჩავა, ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი, შ. რადიანი, ბ. ჟღენტი, პ. ჩხიკვაძე, ლ. ქიაჩელი.

რედაქცია მოთავსებულია ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა სასახლეში, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონი 1-65.
გამომცემლობა „ფედერაცია"

სტამბა „კომუნისტი". [illegible] № 68. ტირაჟი 4000
მთავლიტი № [illegible]